ქართული | GEORGISCH

Notfallkoffer gegen Abschiebungen für Unterstützer*innen

# სასწრაფო დახმარების ნაკრები დეპორტაციის წინააღმდეგ მხარდამჭერებისთვის

## დააბრუნეთ ჩვენი მეზობლები

ერთად სოლიდარობით საქსონიის დეპორტაციის პოლიტიკის წინააღმდეგ

الترجمة إلى العربية

Deutsche Übersetzung verfügbar

Translation to English available

Traducción al español disponible

Traduction en français disponible

Wergera bi Kurdî heye

**აქ შეგიძლიათ იპოვოთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ დეპორტაციის წინააღმდეგ bringbackourneighbours.de/**

ბოლო განახლება: 8.7.2025

გამომცემლის მონაცემები: Kontaktgruppe Asyl und Abschiebehaft e.V. Heinrich-Zille-Str. 6 01219 Dresden

ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია სასარგებლო იქნება და დაგეხმარება გადაადგილების თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

ჩვენ ვიღებთ კრიტიკას, ახალ იდეებს და თანამშრომლობას/დახმარებას.

ამისთვის მოგვწერეთ:

**info@bringbackourneighbours.de**

# მიმოხილვა/ მთავარი გვერდი

- **თავშესაფრის და დუბლინის პროცედურა**
- **რა არის დეპორტაცია?**
- **როდის მემუქრება დეპორტაცია?**
- **რა უნდა გავაკეთო დეპორტაციის საფრთხის დროს?**
- **როგორ დავიცვა თავი დეპორტაციისგან?**
- **როგორ შემიძლია მოვემზადო დეპორტაციისთვის?**
- **დეპორტაცია მიმდინარეობს – რისი გაკეთება შემიძლია?**
- **რას ნიშნავს სადეპორტო ციხე?**
- **დანართი**
  - **საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და მხარდაჭერის მოპოვება**
  - **ინფორმაცია სოციალური მუშაკებისთვის**
  - **კონტაქტები პასუხისმგებელ პირებთან და მხარდამჭერებთან**
  - **შაბლონები ამოსაბეჭდად**

„Bring Back Our Neighbours“ კამპანიის ფარგლებში, ჩვენმა ჯგუფმა, რომელიც შედგება თანამშრომლებისა და მოხალისეებისგან საქსონიაში თავშესაფრისა და პოლიტიკური განათლების სფეროში, შეიმუშავა რამდენიმე საინფორმაციო ფლაერი და ეს სასწრაფო დახმარების ნაკრები დეპორტაციების წინააღმდეგ.

ეს არის იმისთვის, რომ ადამიანებს, რომლებსაც დეპორტაციის ეშინიათ, მოხალისე მხარდამჭერებს და პროფესიონალებს სწრაფი მიმოხილვა ქონდეთ და დამატებითი ინფორმაცია მიიღონ დეპორტაციის თემაზე.

ეს ინფორმაცია ძირითადად საქსონიისთვის არის. აქედან ბევრი მთელი გერმანიის მაშტაბით ვრცელდება და სასარგებლოა, თუმცა საკონსულტაციო ცენტრებისა და უწყებების კონტაქტები მხოლოდ საქსონიისთვისაა.

ჩვენ საფუძვლიანად ვემიჯნებით დეპორტაციებს, რადგან ისინი არაადამიანურია. გამოხატავს რასიზმსა და ნაციონალიზმს.

ჩვენ ვაკრიტიკებთ ძალადობრივ დეპორტაციის პრაქტიკას საქსონიაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების ცხოვრებასა და ჯანმრთელობას.

ჩვენ გვინდა, რომ მაქსიმალურად ბევრი ადამიანი დავიცვათ ამ ძალადობისგან.

ხშირად არ არსებობს ინფორმაცა ადამიანების დეპორტაციისგან დასაცავად.

ეს ცოდნა გვინდა რომ აქ გაგიზიაროთ.

ჩვენ შევაგროვეთ სხვადასხვა გამოცდილება იმაზე, როგორ შეუძლიათ ადამიანებს დაიცვან თავი და სხვები დეპორტაციისგან. ასევე შეგვიძლია ერთმანეთსგან ვისწავლოთ.

იურიდიული კონსულტაციის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია, სხვა დაზარალებულებთან და მხარდამჭერებთან გაერთიანება და ერთად მუშაობა დეპორტაციისგან დასაცავად.

ქსელში „We'll come United“ იკრიბებიან დევნილები და მხარდამჭერები და ერთად იბრძვიან თავისუფლად გადაადგილებისთვის ბრძოლაში, რასიზმის და დეპორტაციის წინააღმდეგ. ისინი უზიარებენ ერთმანეთს მრავალ გამოცდილებას, როგორ დაიცვან თავი დეპორტაციისგან:

***We'll come united***
*United against Racism and Fascism*
***mail@welcome-united.org***
***www.welcome-united.org***
*Facebook:* ***@welcomeunited***
*Instagram:* ***@wellcomeunited***
*დეცენტრალიზებული ქსელი ადამიანებით სხვადასხვა სოციალური, ანტირასისტული და პოლიტიკური ჯგუფებიდან ისინი იბრძვიან დარჩენის უფლებისთვის, გადაადგილების თავისუფლებისთვის და თანაბარი უფლებებისთვის.*

## დამატებითი რეკომენდაციები მოხალისე მხარდამჭერებისთვის

ეს სასწრაფო დახმარების ნაკრები არა მხოლოდ დაზარალებულებისთვის, არამედ მოხალისე მხარდამჭერებისთვის: მეგობრები, მეზობლები, მასწავლებლები, კოლეგები ან სხვა მოხალისეებისთვისაცაა. ისინი ნაკრების დახმარებით შეძლებენ დეპორტაციის საფრთხის გააანალიზებას და მიმდინარე დეპორტაციისას დახმარების გაწევას. ნაკრებში მოყვანილია ბევრი პრაქტიკული რჩევა, სასარგებლო კონტაქტები და მითითებები საჯარო პროტესტებისთვის დეპორტაციების წინააღმდეგ.

ინფორმაცია ეხება და არის დაზარალებულებისთვის და მიმართულია მათზე, მაგალითად: „როდის მემუქრება დეპორტაცია“ ან „თუ თავშესაფარს ითხოვ“ – ეს ყოველთვის ეხება ადამიანებს, რომლებსაც პირადად ემუქრებათ დეპორტაცია.

უცხოელთა სამმართველო და პოლიცია დეპორტაციებს საიდუმლოდ ორგანიზებენ. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამიტომ ვერ გაძლევთ გარანტიას, რომ ყველა რჩევა ყოველთვის გაამართლებს.

ჩვენ ვცდილობთ, რომ ყველა ინფორმაცია უახლესი და სრული იყოს. თუმცა მივიღებთ თქვენგან დამატებით რეკომენდაციებს და შენიშვნებს. რამ გაამართლა წარსულში დეპორტაციის შეჩერებისთვის? ამისთვის მოგვწერეთ: **info@bringbackourneighbours.de**

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

## დამატებითი რეკომენდაციები მოხალისე მხარდამჭერებისთვის კონსულტაციის თემაზე

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია, ხოლო თავშესაფრის (Asyl) და ცხოვრების ნებართვის კანონი ძალიან რთულია და ხშირად იცვლება. გთხოვ, არ სცადო მარტომ დაეხმარო ადამიანს, რომელსაც დეპორტაციის საფრთხე ემუქრება. არსებობს უფასო საკონსულტაციო ცენტრები ან ადვოკატები, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. შენ შეგიძლია იყო მნიშვნელოვანი ხიდი: დაეხმარო ტერმინებზე მისვლაში, დაეხმარო ყველა დოკუმენტის შეგროვებაში...

# თავშესაფრის და დუბლინის პროცედურა

ბევრი ადამიანი, რომელსაც მოგვიანებით დეპორტაცია ემუქრება, გერმანიაში თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით ჩამოდის. თავშესაფრის პროცედურა რთულია და ბევრ უფლებას ზღუდავს. რაც უფრო კარგად ერკვევი ამ პროცესში, მით უკეთ შეძლებ საკუთარი თავის დაცვას. აქ ნახავ მნიშვნელოვან ინფორმაციას:

## თავშესაფრის პროცედურა

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **თავშესაფრის პროცედურა**

**bbonlink.de/flyer-ka-procedure**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

თუ ომის ან დევნის გამო დატოვე შენი ქვეყანა, გაქვს უფლება გერმანიაში მოითხოვო თავშესაფარი.

უნდა შეიტანოს განაცხადი თავშესაფარზე. ფედერალური სამმართველო მიგრაციის და დევნილთათვის, მოკლედ BAMF, მიიღეს გადაწყვეტილებას შენს განცხადებაზე.

ამ ვიდეოს დახმარებით შეძლებ სხვადასხვა ენაზე მიიღო მოკლე ინფორმაცია გერმანიაში თავშესაფრის კანონის შესახებ:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/videohearingar** არაბული | العربية
- **bbonlink.de/videohearing** english | ინგლისური
- **bbonlink.de/videoentretien** français | ფრანგული
- **bbonlink.de/videoanhoerung** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/videohearingku** Kurdî | ქურთული
- **bbonlink.de/videohearingsq** shqiptare | ალბანური
- **bbonlink.de/videohearingbs** bosanski | ბოსნიელი
- **bbonlink.de/videohearingfa** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/videohearingckb** ქურთული (სორანი) | (سۆرانی) کوردی
- **bbonlink.de/videohearingmk** македонски | მაკედონური
- **bbonlink.de/videohearingps** პაშტო | پښتو
- **bbonlink.de/videohearingrus** Русский | რუსული
- **bbonlink.de/videohearingsr** српски | სერბული
- **bbonlink.de/videohearingso** Soomaali | სომალიური
- **bbonlink.de/videohearingtir** ???? | ტიგრინული
- **bbonlink.de/videohearingtr** Türkçe | თურქული
- **bbonlink.de/videohearingur** ურდუ | اردو

თუ განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნაზე შეტანილი გაქვს, მოგეცემა დროებითი ბინადრობის ნებართვა(ე.წ. მწვანე აუსვაისი).

## მოსმენა/ ინტერვიუ

თუ გერმანია პასუხისმგებელია შენს თავშესაფრის განცხადებაზე, ჩატარდება მოსმენა (ე.წ. ინტერვიუ) BAMF- ში. ეს არის შენი შანსი დაასაბუთო შენი განაცხადი.

მოსმენა არის ძალიან მნიშვნელოვანი გადამწყვეტი შეხვედრა.

გთხოვ, მოემზადე ძალიან კარგად ამ გასაუბრებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! შეგიძლია მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტები ქრონოლოგიურად ჩამოწერო და თუ გაქვს მტკიცებულებები თანწაიღო. შენ აგრეთვე შეგიძლია სთხოვო დახმარება დევნილთა საკონსულტაციო ცენტრს.

აქ იპოვი დამატებით ინფორმაციებს სხვადასხვა ენაზე კანონების, შენი უფლებების, მოსმენის, სკოლის და სამსახურის შესახებ თავშესაფრის პროცედური პერიოდში:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🗎 **bbonlink.de/asylar** არაბული | العربية
- 🗎 **bbonlink.de/asyleng** english | ინგლისური
- 🗎 **bbonlink.de/asylfr** français | ფრანგული
- 🗎 **bbonlink.de/asyldt** Deutsch | გერმანული
- 🗎 **bbonlink.de/hearingku** Kurdî | ქურთული
- 🗎 **bbonlink.de/hearingsq** shqiptare | ალბანური
- 🗎 **bbonlink.de/hearingbo** bosanski | ბოსნიელი
- 🗎 **bbonlink.de/hearingfa** ფარსი | فارسی
- 🗎 **bbonlink.de/hearingru** Русский | რუსული
- 🗎 **bbonlink.de/hearingtir** ???? | ტიგრინული
- 🗎 **bbonlink.de/hearingtr** Türkçe | თურქული
- 🗎 **bbonlink.de/hearinguk** українська | უკრაინული
- 🗎 **bbonlink.de/hearingur** ურდუ | اردو

## ბანაკი/საცხოვრებელი

დევნილთა პროცედურის დასაწყისში იცხოვრებ მიმღებ ცენტრში, ე.წ. „პირველადი მიღება“. შესაძლებელია, რომ იქ დარჩე მანამ, სანამ შენს განაცხადზე გადაწყვეტილებას მიიღებენ, ან გადაგიყვანონ სხვა საცხოვრებელში.

სამწუხაროდ, არ გაქვს უფლება თვითონ გადაწყვიტო სად იცხოვრებ გერმანიაში. შენ გაგზავნიან კონკრეტულ ქალაქში ან სოფელში და იქ მოგიწევს ცხოვრება ბინაში ან ბანაკში. შეგიძლია მიმართო პირველად მიმღებ ცენტს სხვა საცხოვრებელში გადაგყვანის მოთხოვნით. ასევე შეგიძლია მოითხოვო ერთი ქალაქიდან სხვა ქალაქში გადასვლა. თუმცა განაცხადისთვის გჭირდება კარგი დასაბუთება, რადგან ასეთი მოთხოვნები ხშირად უარყოფით პასუხს იღებენ.

აქ იპოვი ამ თემაზე დამატებით ინფორმაციებს გერმანულ და ინგლისურ ენებზე:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🗎 **bbonlink.de/transfer** english | ინგლისური
- 🗎 **bbonlink.de/transfer** Deutsch | გერმანული

მაგალითად, ქვემოთ ჩამონათვალი შეიძლება საცხოვრებლის შეცვლის მიზეზი იყოს:

•სამსახური, რომელიც შეგიძლია სხვა ქალაქში დაიწყო

•ოჯახის წევრები, რომლებთან ერთადაც გინდა ერთ ქალაქში ცხოვრება

•შენი რელიგიის პრაქტიკაში გამოყენება

•ოჯახის წევრის მოვლა

•უნივერსიტეტში სწავლა

•აუსილდუნგის დაწყება

ყველაფერი კარგად უნდა დაასაბუთო და ახსნა.

## წერილები

თუ საცხოვრებელ ადგილს იცვლი, უნდა აცნობო ახალი მისამართი BAMF-ს, უცხოელთა სამმართველოს და შესაძლოა სასამართლოსაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წერილები ყოველთვის იგზავნება იმ ბოლო მისამართზე, რომელიც შენ უწყებებს მიაწოდე. დროულად გაეცანი უწყებებისგან მიღებულ წერილებს, რადგან ისინი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას და ვადებს, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოახდინო რეაგირება.

## საბუთები

გერმანიაში სახელმწიფო უწყებებში შენი იდენტიფიკაცია რომ მოახერხო, უმჯობესია წარადგინო ყველა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გაქვს. ყველაზე კარგია პასპორტი. კანონში წერია, რომ თუ პასპორტი გაქვს, ვალდებული ხარ იგი წარუდგინო უცხოელთა სამმართველოს. სამწუხაროდ, როცა ქვეყანას ტოვებ და უნდა გაიქცე ამ დროს პასპორტი ხშირად იკარგება ან შეიძლება მოგპარონ. ეს უნდა აუხსნა BAMF-ს და უცხოელთა სამმართველოს. პასპორტის წარდგენა ასევე ამარტივებს დეპორტაციას. თუმცა ბინადრობის და მუშაობის ნებართვის მისაღებად უმეტესად პასპორტი აუცილებელია.

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

თუ გერმანიაში თავშესაფარს ითხოვ, გერმანია პირველ რიგში ამოწმებს, ხომ არ არის ევროპის სხვა ქვეყანა პასუხისმგებელი. ამას დუბლინის პროცედურა ეწოდება. აქ ნახავ ინფორმაციას:

# დუბლინი

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **დუბლინი**

**bbonlink.de/flyer-ka-dublin**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

თავშესაფრის პროცედურის დაწყებისას მოწმდება, პასუხისმგებელია თუ არა გერმანია ან სხვა ევროპული სახელ-მწიფო თავშესაფრის პროცედურაზე. ამას დუბლინის რეგლამენტი ეწოდება.

სამწუხაროდ, შენ ვერ გადაწყვეტ, რომელი სახელმწიფო განიხილავს შენს თავშესაფრის განაცხადს. ამიტომაც აუცილებელია გაარკვიო :

- თუ როდის და სად შეხვედი ევროკავშირში (EU),
- გყავს თუ არა ოჯახის წევრები ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში,
- გქონია თუ არა თავშესაფრის მოთხოვნა ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში შეტანილი,
- ჩამოხვედი თუ არა გერმანიაში ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის ვიზით,
- ან აგიღეს თუ არა თითის ანაბეჭდები ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში.

თუ გერმანია ნახავს, რომ ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფო არის პასუხისმგებელი შენს თავშესაფრის განაცხადზე, შენი განაცხადი „დაუშვებელი“ ხდება. ეს ნიშნავს, რომ შენ უნდა დაბრუნდე პასუხისმგებელ ქვეყანაში, რათა შენი თავშესაფრის განაცხადი იქ იქნას განხილული.

შენ გაქვს უფლება დაასახელო მიზეზები, რის გამოც ვერ დაბრუნდები ამ სახელმწიფოში. გაითვალისწინე შემდეგი:

## თავშესაფრის განაცხადი „დაუშვებელი“ (“unzulässig”).

- საჩივრის შეტანისა და სასწრაფო განაცხადის (Eilantrag) წარმოდგენისთვის გაქვს მხოლოდ 7 დღე.
- საჩივრის შეტანა ან სასწრაფო თხოვნის წარდგენა ყოველთვის არაა მიზანშეწონილი.
- გერმანიას აქვს 6 თვის ვადა, რომ მოახდინოს შენი დეპორტაცია.
- საჩივრის შეტანამ ან სასწრაფო განაცხადის წარდგენამ შესაძლოა გაახანგრძლივოს ეს ვადა.
- თუ შენ დაემალები ხელისუფლებას და ისინი ამას გაარკვევენ, მათ შეუძლიათ შენი დეპორტაციის ვადა 1 წლით გაახანგრძლივონ. ამ შემთხვევაში მათ ექნებათ 18 თვიანი ვადა.

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

მნიშვნელოვანი მიზეზები, რომელსაც შეგიძლია ახსენო:

- შენ ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ შეძლებ გამგზავრებას.
- ევროკავშირის ქვეყანას, სადაც შენ უნდა დაბრუნდე, აქვს „სისტემური ნაკლოვანებები“. ეს ნიშნავს, რომ იქ არ არსებობს ძირითადი საჭიროებები ცხოვრებისათვის, როგორიცაა საცხოვრებელი, საწოლი ან საპონი.

აქ შეგიძლიათ ნახოთ დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა ენაზე დუბლინის სისტემის შესახებ.

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/dublin** არაბული | العربية
- **bbonlink.de/dublin** english | ინგლისური
- **bbonlink.de/dublin** français | ფრანგული
- **bbonlink.de/dublin** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/dublin** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/dublin** Русский | რუსული

აქ შეგიძლიათ ნახოთ კონტაქტები და ინფორმაცია სხვადასხვა ენაზე ევროპული ქვეყნების შესახებ, რომლებიც დაგეხმარებიან დუბლინის პროცედურის ფარგლებში დეპორტაციის შემთხვევაში.

***Welcome to Europe!***
***w2eu.info***
*დამოუკიდებელი ინფორმაცია ევროპაში ჩამოსული დევნილების და მიგრანტებისთვის*

თუ შენ დაიმალები და ხელისუფლება ამას გაარკვევს, მათ შეუძლიათ შენი დეპორტაციის ვადა 1 წლით გაახანგრძლივონ. ამ შემთხვევაში მათ ექნებათ 18 თვე დეპორტაციისთვის. ხელისუფლება დამალვას ასევე „თავის არიდებას“ უწოდებს.

ამიტომ თავად უნდა შეაგროვო მტკიცებულებები, რომ შენ თავს არ არიდებ, არამედ უბრალოდ შემთხვევით ან მნიშვნელოვანი მიზეზების გამო არ იყავი ადგილზე.

თუ სამინისტროს შეხვედრას გააცდენ, წინასწარ უნდა გააფრთხილო. ამისთვის საჭიროა დაასახელო მნიშვნელოვანი მიზეზი. ყველაზე კარგი არის ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა. სამედიცინო ცნობა შეგიძლია გააგზავნო ელფოსტით უცხოელთა სამმართველოში შეხვედრის წინ.

თუ პოლიცია შენს დასადეპორტებლად მოვიდა, მაგრამ ვერ გიპოვა, უნდა დაამტკიცო, რომ არ იმალებოდი. ამისთვის წერილი უნდა გაუგზავნო შენს კომუნალურ უცხოელთა სამმართველოს და BAMF-ს (დუბლინის დეპორტაციის შემთხვევაში) ან LDS-ს, ანუ ცენტრალური უცხოელთა სამმართველო (ყველა სხვა დეპორტაციის შემთხვევაში), მიუთითე მიზეზები, რატომ არ იყავი ადგილზე. შეგიძლია წერილი ელფოსტით ან ფაქსით გააგზავნო.

შენი კომუნალური უცხოელთა სამმართველოს მისამართს იპოვი მათ წერილებში ან ინტერნეტში. კონტაქტი BAMF-ისა და LDS-ის, ანუ ცენტრალური უცხოელთა სამმართველოს, იპოვი ჩვენს

**კონტაქტების სიაში bbonlink.de/page-ka-contacts**

ამისთვის უნდა გქონდეს მტკიცებულებები:

- გადაიღე ფოტოების სხვადასხვა დღეს შენს საცხოვრებელში.
- შეინახე კარგად ექიმის სამედიცინო ცნობები ან საავადმყოფოში ყოფნის ცნობები.
- შენახე კარგად მატარებლის და ავტობუსის ბილეთები, ქვითრები და ა.შ., როცა სხვა ქალაქში იმყოფები. ასევე შეგიძლია გადაიღო ფოტოები ამ ადგილებში.
- მეგობრება ან ოჯახის წევრებს შეუძლიათ წერილობით დაადასტურონ, რომ მოკლე ვადით იყავი მათთან სტუმრად. ამისთვის მათ შეუძლიათ **სერტიფიცირებულ წერილს bbonlink.de/page-ka-forms** მოაწერონ ხელი..

შენი სახელი უნდა იყოს საფოსტო ყუთზე. შენ ან სხვა ვინმემ მინიმუმ კვირაში ერთხელ უნდა შეამოწმოთ საფოსტო ყუთი. შენი საცხოვრებლის კარან შენობის ოთახში უნდა ეტყობოდეს, რომ რეგულარულად იმყოფები იქ. მეზობლებმა უნდა ნახონ, რომ ხშირად ხარ სახლში.

## დამატებითი რჩევები მხარდამჭერებისთვის თავშესაფრის პროცედურის თემაზე

შენ შეგიძლია თავშესაფრის პროცედურაში მყოფ ადამიანს დაეხმარო, რომ ყველა წერილი უსაფრთხოდ მიიღოს. ყოველი ახალი მისამართი, მათ შორის უწყების მიერ განხორციელებული გადანაწილების მისამართი, აუცილებლად უნდა ეცნობოს BAMF-ს. ამისთვის საკმარისია ელფოსტა, რომელშიც მითითებული იქნება სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ძველი და ახალი მისამართი და BAMF-ში საქმის ნომერი, შემდეგ მისამართზე: **service@bamf.bund.de** . შენ შეგიძლია წერილების ყუთი დაცალო, თუ ადამიანი ადგილზე არ არის. შეგიძლია გაახსენო მნიშვნელოვანი ვადები და დაეხმარო მოსმენის (განხილვის)თვის მომზადებაში. ასევე შეგიძლია მოსმენაზე დამხმარე პირის სტატუსით მონაწილეობა.

მეტი ინფორმაცია:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🌐 **bbonlink.de/beistand** Deutsch | გერმანული

# რა არის დეპორტაცია?

დეპორტაცია ნიშნავს, რომ ადამიანებმა თავიანთი ნების წინააღმდეგ უნდა დატოვონ გერმანია.

პოლიცია აგროვებს ადამიანებს დეპორტაციისთვის.

დეპორტაციები უნდა იქნეს წინასწარ წერილობით შეტყობინებული. თუმცა ეს წერილი შეიძლება მრავალი წლის წინაც იყოს მოსული. უმეტეს შემთხვევაში ეს არის უარყოფითი გადაწყვეტილება BAMF-ისგან. მასში უარყოფილია თავშესაფრის განაცხადი. ასევე მითითებულია ქვეყანა, რომელშიც ადამიანის დეპორტაცია იგეგმება.

# როდის მემუქრება დეპორტაცია?

თუ გერმანიაში არ გაქვს მოქმედი ცხოვრების ნებართვა, გემუქრება დეპორტაცია. ხშირად ეს ხდება თავშესაფრის განაცხადზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემდეგ.

# უარყოფითი გადაწყვეტილებები თავშესაფრის პროცესში.

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **უარყოფითი გადაწყვეტილებები თავშესაფრის პროცესში.**

**bbonlink.de/flyer-ka-decision**

ქართული | Georgisch – ბოლოს განახლება: 8.7.2025

ფედერალური სამსახურის გადაწყვეტილება მოგივა წერილობითი სახით ყვითელ კონვერტში. თუ გყავს ადვოკატი, წერილები მას გაეგზავნება.

თუ გადაწყვეტილება დადებითია, შეგიძლია დარჩე – ახლა გიწევს ბევრი სხვა ბიუროკრატიული საკითხის მოგვარება და შესაძლოა დაგჭირდეს დახმარება მიგრაციის საკონსულტაციო ცენტრებისგან, მაგრამ გარკვეული დროით გექნება გერმანიაში დარჩენის უფლება.

არსებობს უარყოფითი გადაწყვეტილების 3 ტიპი:

## არადამაკმაყოფილებელი: (Unzulässig):

დუბლინის უარყოფის შემთხვევაში და განმეორებითი თავშესაფრის მოთხოვნის დროს. დუბლინის პროცესის შესახებ დამატებით ინფორმაციას აქ ნახავ:

**bbonlink.de/flyer-ka-dublin**

უარყოფითი გადაწყვეტილება, როგორც არადამაკმაყოფილებელი, ნიშნავს, რომ შენი თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზები საფუძვლიანად არ შეისწავლება და გერმანია არ მიიჩნევს, რომ თავშესაფრის მოთხოვნა აუცილებელია. შენ გაქვს 7 დღე გასაჩივრებისთვის და სასწრაფო სარჩელის წარდგენისთვის. სარჩელი შენ არ გიცავს დეპორტაციისგან. ამიტომ აუცილებელია დამატებით წარმოადგინო სასწრაფო სარჩელი დეპორტაციისგან დაცვის მიზნით.

## არასაფუძვლიანი (Einfach unbegründet):

BAMF-ის გადაწყვეტილებაში წერია: შენი თავშესაფრის მოთხოვნა იქნა უარყოფილი. შენ გაქვს 2 კვირა გასაჩივრებისთვის. ეს სარჩელი გიცავს დეპორტაციისგან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე. ამიტომ დამატებითი სასწრაფო სარჩელის წარდგენა არ არის საჭირო.

## აშკარად უსაფუძვლო (Offensichtlich unbegründet):

შენ გაქვს 7 დღე გასაჩივრების და სასწრაფო სარჩელის წარდგენისთვის. ეს სარჩელი შენ არ გიცავს დეპორტაციისგან. ამიტომ აუცილებელია დამატებით წარმოადგინო სასწრაფო სარჩელი დეპორტაციისგან დაცვის მიზნით.

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

გერმანული თავშესაფრის სისტემა ძალიან რთულია, ამიტომ შეუძლებელია ყველა ინფორმაცია მოკლე ფლაერში შევაჯამოთ. გთხოვ, გამოიყენე ჩვენი ფლაერის სხვა დამატებითი ინფორმაციაც:

**bbonlink.de/flyer-ka-procedure**

## უფასო კონსულტაცია თავშესაფრის პროცესთან დაკავშირებით საქსონიაში

ჩვენს **კონტაქტების მიმოხილვაში bbonlink.de/page-ka-contacts** შეგიძლიათ იპოვოთ კარგი საკონსულტაციო ცენტრები საქსონიაში.

თუ იქ ვერ შეძლებენ დახმარებას, კონსულტანტები გირჩევენ სპეციალიზებულ ადვოკატებს. გთხოვ, გადაწყვიტე რომელ საკონსულტაციო ცენტრს მიმართავ ან აცნობე ახალ საკონსულტაციო ცენტრს, ვინ და რა დაგხმარება გაგიწია აქამდე. სამწუხაროდ, ზოგჯერ რამდენიმე დღე ან კვირა უნდა მოიცადო შეხვედრისთვის. ამიტომ, თუ საჭირო გაქვს კონსულტაცია, ნუ დააყოვნებ და რაც შეიძლება სწრაფად დათანხმდი შეხვედრას. თუ არსებობს სარჩელის წარდგენის ვადა, უმჯობესია დაუყოვნებლივ უთხრა ან მიწერო საკონსულტაციო ცენტრს. გთხოვ, წაიღე ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (მაგალითად: ენის კურსის სერტიფიკატი, ქირის ხელშეკრულება, სამუშაო კონტრაქტი, სამუშაო ხელშეკრულება, ექიმის წერილი) და წერილები გერმანული უწყებებისგან.

## გერმანიიდან სამშობლოში დაბრუნება

თუ გსურს გერმანიის დატოვება, შეგიძლია მოითხოვო დახმარების. აქ ნახავ დამატებით ინფორმაციას სხვადასხვა ენაზე

ეს არის გერმანული მთავრობის ინფორმაცია.

*Rückkehrberatung der deutschen Regierung*
*www.returningfromgermany.de/en/*
*ინფორმაციული პორტალი ნებაყოფლობით უკან დაბრუნებისა და ინტეგრაციის შესახებ*

ჩვენ კრიტიკულად ვუყურებთ უკან დაბრუნების მხარდაჭერას, რადგან ის არ ფუნქციონირებს ისე, როგორც გერმანია ჰპირდება. ამ გვერდზე ნახავ ექსპერტების დოკუმენტაციას და შეფასებას სამშობლოში დაბრუნების მხარდაჭერის შესახებ:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🌐 **bbonlink.de/returnwatch** english | ინგლისური
- 🌐 **bbonlink.de/returnwatch** français | ფრანგული
- 🌐 **bbonlink.de/returnwatch** Deutsch | გერმანული

თავშესაფრისგანაცხადზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც, ბევრი ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში რჩება გერმანიაში და იღებს Duldung-ს. სამწუხაროდ, გერმანიაში დიდი ხნის ყოფნის მიუხედავად, დეპორტაცია შესაძლებელია.

## დეპორტაციის შეჩერება

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **დეპორტაციის შეჩერება**
**bbonlink.de/flyer-ka-prevent-deportation**
ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

დეპორტაციის შესაჩერებლად, უნდა იცოდე, ნამდვილად ემუქრება თუ არა დეპორტაცია და რამდენად დიდია საფრთხე:

- „დულდუნგი“ ნიშნავს ხშირ შემთხვევაში დეპორტაციას.
- დულდუნგზე წერია: „გაუქმდება დეპორტაციის დღეს, მიუხედავად იმისა რომ ჯერ კიდევ აქვს ვადა.“
- განსაკუთრებით საშიშია, როცა დულდუნგს მხოლოდ 3 თვე აქვს ვადა.
- სამუშაო ან სასწავლო დულდუნგი საფრთხეს არ წარმოადგენს.
- მაშინაც კი, როდესაც ადამიანს ეძლევა „დროებითი საცხოვრებლის დამადასტურებელი მოწმობა“ (BÜVA), საფრთხე დიდია. BÜVA არის DIN A4 ფორმატის ფურცელი, რომელსაც უცხოელთა სამსახურისგან მიიღებთ „პასპორტის“ სახით, რომელსაც ხშირად მხოლოდ 1 თვე აქვს ვადა და დიდ საშიშროებას წარმოადგენს დეპორტაციის თვალსაზრისით. გთხოვ, რაც შეიძლება სწრაფად მიმართე კონსულტაციის ცენტრს, თუ დულდუნგის ნაცვლად BÜVA მიიღე.
- მნიშვნელოვანია იცოდე, რომ უცხოელთა სამმართველოში დანიშნულ შეხვედრაზეც შეუძლიათ შენი დეპორტაცია. თუ შეხვედრა არაორდინალურია, უნდა იყო ფრთხილი და უმჯობესია გააუქმო შეხვედრა.
- დეპორტაცია შესაძლებელია მაშინაც, თუ პასპორტი არ გაქვთ ჩაბარებული.
- თუნდაც გქონდეს განცხადება ცხოვრების უფლებაზე შეტანილი, დეპორტაცია შესაძლებელია მანამ, სანამ უცხოელთა სამმართველო შენს განაცხადზე გადაწყვეტილებას არ მიიღებს. დეპორტაციას თავიდან აიცილებ, თუ დამატებით შეიტან სასწრაფო განცხადებას (Eilantrag) ან მოითხოვ Landesdirektion-იდან წერილობით გარანტიას, რომ დეპორტაცია არ განხორციელდება. ამაში ადვოკატები ან საკონსულტაციო ცენტრები დაგეხმარებიან.
- ადამიანებს, რომლებსაც აქვთ დროებითი და გრძელვადიანი ცხოვრების უფლება ან ევროკავშირის მოქალაქეებს თავისუფალი გადაადგილების უფლებით, საფრთხე არ ემუქრებათ.
- მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი დიდხანს ცხოვრობს გერმანიაში, აქვს სამსახური, ჯანმრთელობის პრობლემები ან ბავშვები დადიან სკოლაში, დეპორტაცია მაინც შესაძლებელია.

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

2024 წელს გერმანიაში 200 000-ზე მეტ ადამიანს აქვს Duldung. ნახევარზე ცოტა მეტს ჰქონდა თავშესაფარი მოთხოვნილი, რომელიც უარყოფილ იქნა. დანარჩენები არიან, მაგალითად, უცხოელი სტუდენტები, სამუშაოს მაძიებლები ან ტურისტები, რომლების ვიზაც ვადაგასული იყო , ან ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს სხვა ცხოვრების ნებართვის სტატუსი.

ადამიანები, რომლებსაც აქვთ Duldung , არიან ვალდებული დატოვონ ქვეყანა, ისინი თეორიულად უნდა წავიდნენ ქვეყნიდან ან მოხდება დეპორტაცია. მრავალი კომპლექსური წესის გამო, რეალურად მხოლოდ დაახლოებით

50 000 ადამიანი ნამდვილად არის ვალდებული დატოვოს ქვეყანა. ამ ადამიანების ნახევარზე ცოტა ნაკლები ადამიანები დეპორტირდებიან ყოველ წელს.

## დულდუნგი

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **დულდუნგი**

**bbonlink.de/flyer-ka-duldung**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

## რა ნიშნავს დულდუნგი (Duldung)?

დულდუნგი ცუდი სტატუსია. ბევრი უფლება შეზღუდულია, მაგალითად, ადამიანი ვერ გადაწყვეტს, სად იცხოვროს.

მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს დეპორტის საშიშროებას. ზოგი ადამიანი წლებია გერმანიაში დულდუნგით ცხოვრობს. რეალურად დეპორტაციის საფრთხე ინდივიდუალურია.

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

## დულდუნგი იწვევს ბევრ პრობლემას:

დულდუნგის მქონე ადამიანს არ შეუძლია გერმანიაში უკან შესვლა. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს. დულდუნგს ყოველთვის აქვს ვადა, ხშირად 3 ან 6 თვე. მაგრამ ამ ვადის განმავლობაში ადამიანის დადეპორტება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუძლიათ. საფრთხე განსაკუთრებით მაღალია, თუ დულდუნგზე წერია: „ვადის მიუხედავად უქმდება დადეპორტების დღეს“.

ბევრ დულდუნგზე წერია დამატებითი აკრძალვები:

- “Zur Wohnsitznahme verpflichtet in…” „ვალდებულია იცხოვრო მისამართზე…“ – ეს ნიშნავს, რომ უნდა ცხოვრობდე ამ მისამართზე. თუ გინდა საცხოვრებლის შეცვლა, წინასწარ უნდა წარადგინო განაცხადი უცხოელთა სამმართველოში, რაზეც ნებართვა უნდა მოგცენ. ეს ხშირად დიდ დროს მოითხოვს და, უმეტესად, ამისთვის უნდა გქონდეს სამსახური. შესაძლოა, მანამ მეგობრის ან ნაცნობის დახმარებით მოახერხო მეორე ბინის ან ოთახის ქირაობა. თუმცა ოფიციალურად უნდა იცხოვრო იმ ბინაში, რომელიც დულდუნგზეა მითითებული.“
- “Beschäftigung nicht gestattet”„მუშაობა ეკრძალება“ – ეს ნიშნავს, რომ არ გაქვს მუშაობის უფლება.“
- “Beschäftigung nur mit Erlaubnis gestattet” „მუშაობა მხოლოდ ნებართვით არის დაშვებული“ – ეს ნიშნავს, რომ შენ და შენმა მომავალმა დამსაქმებელმა უნდა წარადგინოთ განაცხადი უცხოელთა სამმართველოში.“

აქ შეგიძლიათ ნახოთ დამატებითი ინფორმაცია სამუშაო ნებართვის შესახებ:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/workpermitar** არაბული | العربية
- **bbonlink.de/workpermit** english | ინგლისური
- **bbonlink.de/travail** français | ფრანგული
- **bbonlink.de/arbeiten** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/workpermitfa** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/workpermitps** პაშტო | پښتو
- **bbonlink.de/workpermitru** Русский | რუსული
- **bbonlink.de/workpermittr** Türkçe | თურქული
- **bbonlink.de/workpermituk** українська | უკრაინული

შენ შეგიძლია სამართლებრივად დაიცვა შენი უფლებები აკრძალვების წინააღმდეგ და წარუდგინო განაცხადები უცხოელთა სამმართველოს, რათა ეს აკრძალვები წაშალონ დულდუნგიდან. დულდუნგის მქონე ადამიანისთვის უფრო რთულია სამსახურის ან ბინის მოძებნა. რადგან მფლობელები ან დამსაქმებლები არ არიან კარგად გაცნობიერებული უცხოელთა სამმართველოს წესებში და გაურკვევლობაში არიან რადგან დულდუნგს რამდენიმე თვე აქვს ვადა. ხშირად ძალიან სასარგებლოა, როცა შენი ოჯახი, მეგობრები და მხარდამჭერები თავიანთი კონტაქტების საშუალებით ეხმარებიან ბინის ან სამსახურის მოძებნაში.

აქ იპოვი დამატებით მნიშვნელოვან ინფორმაციას შენი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ დულდუნგის (Duldung) ქონის შემთხვევაში:

🔊 **bbonlink.de/sfraudio** ქართული

*ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სხვა ენებზე*

- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** არაბული | العربية
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** Deutsch | გერმანული
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** español | ესპანური
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** ფარსი | فارسی
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** ურდუ | اردو

დულდუნგი (Duldung) არ არის პასპორტის შემცვლელი. შესაბამისად, ის არ წარმოადგენს შენი იდენტობის დამადასტურებელ საბუთს. ამიტომ ზოგჯერ შეიძლება პრობლემები შეგექმნას, მაგალითად, თუ გინდა მართვის მოწმობის აღება, SIM ბარათის ყიდვა ან საბანკო ანგარიშის გახსნა.

## პასპორტის ქონის ვალდებულება

თუ დულდუნგი (Duldung) გაქვს და ჯერ კიდევ არ წარგიდგენია პასპორტი, უცხოელთა სამმართველო მოგთხოვს მის წარდგენას. მას აქვს მრავალი შესაძლებლობა, რომ გაიძულოს ამის გაკეთება — მაგალითად, შეუძლია აგიკრძალოს მუშაობა ან შეგიმციროს სოციალური დახმარება.

შენ გაქვს ეგრეთწოდებული „თანამშრომლობის ვალდებულება“, რაც ნიშნავს, რომ უნდა მოიპოვო პასპორტი და დაამტკიცო შენი იდენტობა. თუ ცდილობ პასპორტის აღებას, ჩაიწერე რა მოიქმედე ამისთვის: საელჩოში შეხვედრა, ოჯახთან დაკავშირება და ა.შ.

აქ იპოვი მრავალენოვან ინფორმაციას თანამშრომლობის ვალდებულებებისა და პასპორტის მოპოვების შესახებ:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🌐 **bbonlink.de/passar** არაბული | العربية
- 🌐 **bbonlink.de/pass** english | ინგლისური
- 🌐 **bbonlink.de/passde** Deutsch | გერმანული
- 🌐 **bbonlink.de/passfa** ფარსი | فارسی
- 🌐 **bbonlink.de/passtr** Türkçe | თურქული

ზოგი ქვეყანაში მხოლოდ პასპორტით შეიძლება დეპორტაცია. ამიტომ, თუ შენს პასპორტს უცხოელთა სამმართველოს წარუდგენ, დეპორტაციის რისკი გაიზრდება. ამავე დროს, შენ ვალდებული ხარ დაამტკიცო შენი იდენტობა და ამისთვის გჭირდება პასპორტი ცხოვრების ნებართვის მისაღებად. თუმცა, ბევრ ქვეყანაში დეპორტაცია შეიძლება პასპორტის გარეშე, მაგალითად, საქართველოში, პაკისტანში ან ტუნისში. ასეთ შემთხვევაში დეპორტაციის რისკი პასპორტის ქონის არ ქონის შემთხვევაში დაახლოებით თანაბარია.

აქ არის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მიიღო ბინადრობის ნებართვა დულდუნგის მიუხედავად :

**bbonlink.de/flyer-ka-residence**

## როდის მემუქრება დეპორტაცია?

დეპორტაციის საფრთხის შემთხვევაში, როგორც მხარდამჭერი, არსებობს მრავალი და კონკრეტული დახმარების შესაძლებლობები. ყველა შესაძლებლობა და შენი როლი კარგად შეათანხმე დაზარალებულებთან. მიაქცევე ყურადღება, რომ დაზარალებულები არ შეაშინო ან არ შეზღუდო. შეეცადე საკმარისად მოიძიო ინფორმაცია შენთვის როგორც მხარდამჭერისთვის და დაზარალებულისთვის და შემდეგ მიიღოთ გადაწყვეტილება. თუმცა, ასევე მიაქციე ყურადღება საკუთარ რესურსებს და იყავი გამჭვირვალე იმასთან დაკავშირებით, როგორ, რითი და რამდენად აპირებ დახმარებას.

# რა უნდა გავაკეთო დეპორტაციის საფრთხის დროს?

დეპორტაცია ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს. დეპორტის შიში და თვითონ დეპორტაცია განსაკუთრებულად სტრესულია.

# დეპორტაციის საფრთხე – რჩევები სტრესისა და შფოთვის დროს

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **დეპორტაციის საფრთხე – რჩევები სტრესისა და შფოთვის დროს**

**bbonlink.de/flyer-ka-stress**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

შიში, ბრაზი ან უძილობა სხეულის ბუნებრივი რეაქციებია, როდესაც დეპორტაციის საფრთხე არსებობს. რადგან ის ძალიან დიდ სტრესს იწვევს.

დეპორტაციის საფრთხის მიზეზი რასისტული კანონები და სახელმწიფო უწყებებია. ამ პრობლემებს ასეთი რჩევებით ვერ მოვაგვარებთ. მაგრამ შესაძლებელია, ზოგიერთი რჩევა დაგეხმაროს, პანიკის დროს დამშვიდდე, თავი უფრო ძლიერად იგრძნო და გააგრძელო ბრძოლა დეპორტაციების წინააღმდეგ.

თუ ძალიან ძლიერი შიში და პანიკა გაქვს, თითქოს სამყაროსგან მოწყვეტილი ხარ, მაშინ შეიძლება დაგეხმაროს რაღაცის ძალიან ინტენსიურის დაგემოვნება, ყნოსვა ან შეგრძნება. ამან შეიძლება შოკიდან დაგაბრუნოს.

მაგალითად, შეგიძლია:

- დაგემოვნება: ჩაკბიჩე ლიმონ ან წიწაკა, ან დაღეჭე ძალიან ძლიერი საღეჭი რეზინი.
- სუნი: ცხვირთან მიიტანე ძლიერი სუნები, მაგალითად ლიმონი, ლავანდა, პაჩული ან შენთვის სასიამოვნო არომატი.
- შეგრძნება: გადაისვი კანზე მასაჟის ბურთი, ჯაგრისი ან რაიმე უხეში ნივთი. ან შეგიძლია ხელის მაჯაზე რეზინი გააწკაპუნო. ასევე შეგიძლია ხელებზე ან სახეზე ცივი წყალი გადაისხა, ან მონაცვლეობით ცხელი და ცივი შხაპი მიიღო.
- მოსმენა: მოუსმინე შენს საყვარელ სიმღერას ან დამამშვიდებელ ხმებს — ზღვის, ქარის, წვიმის ან ტყის ხმებს.

მნიშვნელოვანია: ეს არის სტრატეგიები, რომლებიც მოკლე ვადაში გეხმარება და გრძელვადიან პერსპექტივაში არ გაყენებს ზიანს. მიზანია, შიშისა და პანიკისგან გამოწვეული გაშეშებული მდგომარეობიდან გამოხვიდე, რათა შემდეგ ისევ გააქტიურდე და დეპორტაციის საფრთხის წინააღმდეგ რამე მოიმოქმედო.

დეპორტაციის შიშმა შეიძლება გააღვიძოს მძიმე მოგონებები გაქცევაზე, ომზე და დევნაზე. თავად დეპორტაციის შიშიც შეიძლება ტრავმული იყოს. ასეთ დროს პროფესიონალური ფსიქოლოგიური თერაპია ბევრი ადამიანისთვის დიდი დახმარებაა. მაგრამ განსაკუთრებით დულდუნგის სტატუსის მქონე ადამიანებისთვის ძალიან რთულია ფსიქოთერაპიის მიღება. საქსონიაში არსებობს PSZ — ფსიქოსოციალური საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც ზოგჯერ უფრო სწრაფად შეძლებენ დახმარებას და უზრუნველყოფენ თარჯიმნებს.

***PSZ Sachsen***
***psz-sachsen.de***
*კონსულტაციისა და მკურნალობის ცენტრები ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისთვის, რომლებსაც მიგრაციის გამოცდილება აქვთ. მომსახურება უფასო და კონფიდენციალურია. ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას და არ გასცეს თქვენი ინფორმაცია.*

აქაც ხშირად რამდენიმე კვირა მოგიწევს ლოდინი. ამიტომ აქ ნახავ მრავალენოვან ინფორმაციას ფსიქიკური დაავადებების, ტრავმისა და პანიკის შესახებ, და იმის შესახებ, რა შეგიძლია თავად გააკეთო, რომ თავი უკეთ იგრძნო:

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) უფასო ონლაინწიგნი მრავალი სავარჯიშოებით, სურათებით, აღწერებითა და აუდიოფაილებით:

**bbonlink.de/whoka** ქართული

*ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/whoar** არაბული | العربية
- **bbonlink.de/whoen** english | ინგლისური
- **bbonlink.de/whofr** français | ფრანგული
- **bbonlink.de/whode** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/whoes** español | ესპანური
- **bbonlink.de/whofa** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/whoru** Русский | რუსული
- **bbonlink.de/whoti** ???? | ტიგრინული
- **bbonlink.de/whotr** Türkçe | თურქული

- 🗎 **bbonlink.de/whouk** українська | უკრაინული
- 🗎 **bbonlink.de/whour** ურდუ | اردو
- 🗎 **bbonlink.de/whovi** Tiếng Việt | ვიეტნამური

ვიდეო ტეპინგის შესახებ (ენა არ არის საჭირო):

🎞 **bbonlink.de/tapping** ქართული

*ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სხვა ენებზე*

- 🗎 **bbonlink.de/tappingar** არაბული | العربية
- 🗎 **bbonlink.de/tappingen** english | ინგლისური
- 🗎 **bbonlink.de/tappingfr** français | ფრანგული
- 🗎 **bbonlink.de/tappingde** Deutsch | გერმანული
- 🎞 **bbonlink.de/tapping** Kurdî | ქურთული
- 🗎 **bbonlink.de/tappinges** español | ესპანური
- 🎞 **bbonlink.de/tapping** shqiptare | ალბანური
- 🎞 **bbonlink.de/tapping** bosanski | ბოსნიელი
- 🗎 **bbonlink.de/tappingfa** ფარსი | فارسی
- 🎞 **bbonlink.de/tapping** ქურთული (სორანი) | (سۆرانی) کوردی
- 🎞 **bbonlink.de/tapping** македонски | მაკედონური
- 🎞 **bbonlink.de/tapping** პაშტო | پښتو
- 🎞 **bbonlink.de/tapping** Русский | რუსული
- 🎞 **bbonlink.de/tapping** српски | სერბული
- 🗎 **bbonlink.de/tappingso** Soomaali | სომალიური
- 🗎 **bbonlink.de/tappingti** ???? | ტიგრინული
- 🎞 **bbonlink.de/tapping** Türkçe | თურქული
- 🎞 **bbonlink.de/tapping** українська | უკრაინული
- 🎞 **bbonlink.de/tapping** Tiếng Việt | ვიეტნამური

ვიდეოები ტრავმის შესახებ დევნილი ადამიანებისთვის 17 ენაზე :

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** არაბული | العربية
- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** english | ინგლისური
- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** français | ფრანგული
- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** Deutsch | გერმანული
- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** Kurdî | ქურთული
- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** español | ესპანური
- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** ფარსი | فارسی
- 🎞 **bbonlink.de/flightandtrauma** Türkçe | თურქული

Refugee Trauma Help-ის ტექსტური და აუდიო სავარჯიშოები:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🗎 **bbonlink.de/nawaar** არაბული | العربية
- 🔊 **bbonlink.de/nawaen** english | ინგლისური
- 🔊 **bbonlink.de/nawafr** français | ფრანგული
- 🔊 **bbonlink.de/nawade** Deutsch | გერმანული
- 🔊 **bbonlink.de/nawa** Kurdî | ქურთული
- 🔊 **bbonlink.de/nawasq** shqiptare | ალბანური
- 🗎 **bbonlink.de/nawabs** bosanski | ბოსნიელი
- 🔊 **bbonlink.de/nawafa** ფარსი | فارسی
- 🔊 **bbonlink.de/nawackb** ქურთული (სორანი) | (سۆرانی) کوردی
- 🔊 **bbonlink.de/nawaru** Русский | რუსული
- 🔊 **bbonlink.de/nawatr** Türkçe | თურქული

არ დარჩე მარტო შენს შიშთან: შეხვდი სხვა ადამიანებს, ილაპარაკე შენს გრძნობებზე, ითხოვე დახმარება. გარეთ გადი და იმოძრავე (ვარჯიში, სირბილი, სასეირნოდ წასვლა) გამაშეშებელი შიშის წინააღმდეგ. ბევრს ეხმარება ასევე აქტიურად ყოფნა და სხვებთან ერთად დეპორტაციის წინააღმდეგ ჩართულობა. შენ შეგიძლია რამე გააკეთო!

თუ არავის იცნობ, აქ შეგიძლია ნახო პირველი კონტაქტები პოლიტიკურად აქტიური დევნილების და მხარდამჭერების:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🌐 **bbonlink.de/w2euar** არაბული | العربية
- 🌐 **bbonlink.de/w2eu** english | ინგლისური
- 🌐 **bbonlink.de/w2eufr** français | ფრანგული
- 🌐 **bbonlink.de/w2eufa** ფარსი | فارسی

გთხოვ, სერიოზულად მიიღე დეპორტაციის საფრთხე: მიუხედავად იმისა, რომ შენთან მრავალი წლის განმავლობაში არაფერი მომხდარა და შენი ნაცნობებიც არ დაადეპორტეს, ეს მაინც შესაძლებელია.

## დამატებითი რჩევები მხარდამჭერებისთვის თემაზე: სტრესი დეპორტაციის საფრთხის გამოr

დეპორტაციის საფრთხის ფსიქიკური და ფიზიკური დატვირთვა ძალიან დიდია, ხშირად უხილავია და უმნიშვნელოდ ჩანს. ეს გამოიხატება, მაგალითად, ყურადღების დაბინდვაში, შეხვედრის თარიღის დავიწყებაში, პირად ცხოვრებაში უკან დახევაში, დეპორტაციის საფრთხის უგულებელყოფაში, მარტო ყოფნასა ან აგრესიაში. გთხოვ, ნუ განსჯი მსგავსი ქცევის გამო, არამედ ჰკითხე, როგორ შეგიძლია დაეხმარო.

ბევრი პრაქტიკული ცოდნა არსებობს – გამოიყენე ის! მაგრამ ასევე ვრცელდება ბევრი მცდარი ინფორმაცია. ყოველი საქმე განსხვავებულია. უწყებების თანამშრომლებს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება აქვთ. რაც ნაცნობებთან იმუშავა, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ შენს საქმეშიც იმუშავებს.

## გერმანიაში დარჩენის უფლების შანსები

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **გერმანიაში დარჩენის უფლების შანსები**

**bbonlink.de/flyer-ka-residence**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

დულდუნგის შემთხვევაში ბინადრობის ნებართვის მიღების სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ

- დამტკიცებული გქონდეს იდენტობა, საუკეთესო შემთხვევაში პასპორტის მეშვეობით
- არ უნდა გქონდეს ჩადენილი მძიმე დანაშაულები

ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შენ გჭირდება დახმარება **საკონსულტაციო ცენტრების bbonlink.de/page-ka-contacts** ან ადვოკატების, რომლებიც კარგად ერკვევიან მიგრაციის სამართალში. მათ უნდა შეამოწმონ შენი საქმე დეტალურად.

ხშირად ძალიან ეხმარება თუ მუშაობ, ეწევი მოხალისეობრივ საქმიანობას და იცნობ ბევრ ადამიანს, რომლებიც პროცესში დაგიჭერენ მხარს. ამას ეწოდება „კარგი ინტეგრაცია“. ეს მხოლოდ მიმოხილვაა არსებული შესაძლებლობების შესახებ. ბინადრობის ნებართვა ავტომატურად არ გაიცემა — მისი მიღებისთვის ყოველთვის საჭიროა განაცხადის შეტანა და ამის დამადასტურებელი მრავალი მტკიცებულების წარდგენა. უსაფრთხოდ შეიძლება თავი იგრძნო მხოლოდ მაშინ, როცა განაცხადზე დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ.

### რომელი ბინადრობის ნებართვები არსებობს?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბინადრობის შესახებ კანონის შემდეგი პარაგრაფები:

- § 25a (ახალგაზრდებისთვის) და § 25b (ზრდასრულებისთვის) — „კარგი ინტეგრაციის“ შემთხვევაში, თუ მინიმუმ 3 წელია გერმანიაში ცხოვრობ.
- 2025 წლის ბოლომდე: § 104c „შანსები-ბინადრობა“ (Chancen-Aufenthalt), თუ გერმანიაში ცხოვრობ სულ მცირე 2017 წლის 31 ოქტომბრიდან.
- § 60c „აუსბილდუგის / სასწავლო დულდუნგი“ (Ausbildungs-Duldung) ან § 16g „ბინადრობის ნებართვა პროფესიული განათლებისთვის“, თუ გადიხარ 2- ან 3-წლიან პროფესიულ ან სასკოლო განათლებას.

- § 19d: ამ ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის შეტანა შესაძლებელია სწავლის დასრულების შემდეგ. აუცილებელია სამსახური იმავე პროფესიაში, რაგანთლებას მიიღე.
- § 60d „სამუშაო დულდუნგი“ , თუ 2022 წლიდან ან უფრო ადრე ხარ გერმანიაში და მინიმუმ 1 წელია დულდუნგით მუშაობ.ყურადღება: ამ ბინადრობის ნებართვებისთვის აუცილებელია ვადიანი პასპორტი, რომელიც არ უნდა ჩააბარო ძალიან გვიან! მანამდე აუცილებლად მიმართე საკონსულტაციო ცენტრს.

დამატებით, უფრო დეტალურ ინფორმაციას 9 ენაზე იპოვი აქ:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/bleiben** არაბული | العربية
- **bbonlink.de/stay** english | ინგლისური
- **bbonlink.de/rester** français | ფრანგული
- **bbonlink.de/bleiben** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/ماندن** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/پاتې** პაშტო | پښتو
- **bbonlink.de/оставаться** Русский | რუსული
- **bbonlink.de/kalmak** Türkçe | თურქული
- **bbonlink.de/залишаються** українська | უკრაინული

ინფორმაცია მხოლოდ ესპანურად, განსაკუთრებით დულდუნგის მქონე ადამიანებისთვის ვენესუელიდან.

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/residencia** español | ესპანური

“Welcome to Europe” ქსელმა შეადგინა „ინფორმაცია შიშის წინააღმდეგ“, რათა დაეხმაროს ყველას, ვინც ცდილობს საკუთარი ბინადრობის უფლება დაიცვას. აქ არის ბროშურა ბინადრობის უფლებაზე გერმანულად და ინგლისურად:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/wcurighttostay** english | ინგლისური
- **bbonlink.de/wcubleibrecht** Deutsch | გერმანული

## ბინადრობის ნებართვა მძიმე შემთხვევის კომისიის (Härtefall-Kommission) მეშვეობით:

აქ შეგიძლია ნახო მეტი ინფორმაცია 11 ენაზე საქონიისთვის:

**bbonlink.de/hfk** ქართული

*ეს ინფოიმაცია ასევე ხელმისაწვდომია სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/hfk** არაბული | العربية
- **bbonlink.de/hfk** english | ინგლისური
- **bbonlink.de/hfk** français | ფრანგული
- **bbonlink.de/hfk** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/hfk** español | ესპანური
- **bbonlink.de/hfk** shqiptare | ალბანური
- **bbonlink.de/hfk** bosanski | ბოსნიელი
- **bbonlink.de/hfk** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/hfk** македонски | მაკედონური
- **bbonlink.de/hfk** Русский | რუსული
- **bbonlink.de/hfk** Türkçe | თურქული
- **bbonlink.de/hfk** ურდუ | اردو
- **bbonlink.de/hfk** Tiếng Việt | ვიეტნამური

## ბინადრობის მიღება ოჯახის საფუძველზე:

შენ შეგიძლია მიიღო ეს ბინადრობის ნებართვა, თუ გყავს ბავშვები ან თუ დაქორწინებული ხარ ადამიანზე, რომელსაც გერმანიაში აქვს ბინადრობის უფლება ან გერმანიის მოქალაქეა.ყურადღება: ზოგჯერ შეიძლება მაინც მოგიწიოს შენს სამშობლოში დაბრუნება, ვიზის აღების მიზნით და შემდეგ დაბრუნება. ბავშვების შემთხვევაში აუცილებელია დაამტკიცო, რომ ზრუნავ მათ აღზრდაზე. უცხოელთა სამმართველომ შეიძლება მოითხოვოს გენეტიკური ტესტი, რათა დადგინდეს ნამდვილად ხართ თუ არა ბიოლოგიური მშობელი.შენ შეგიძლია მიიღო დულდუნგი, სანამ ბავშვი დაიბადება ან სანამ გექნება ყველა საჭირო დოკუმენტი ქორწინებისთვის. ამისთვის განაცხადი უნდა შეიტანო უცხოელთა სამმართველოში.ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში გქონდეს მხარდაჭერა საკონსულტაციო ცენტრის ან ადვოკატების მხრიდან.

## თავშესაფრის ახალი განაცხადი, ეგრედწოდებული განმეორებითი განაცხადი §71 თავშესაფრი კანონის მიხედვით)

თუ შენს სამშობლოში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა ან გაქვს ახალი მტკიცებულებები, თუ რატომ ხარ იქ საფრთხის წინაშე, განმეორებითი განაცხადი შეიძლება იყოს სასარგებლო. შესაძლებელია, აქამდე ვერ შეძელი რეალური მიზეზების დასახელება, რატომ გქონდა გაქცევის საჭიროება. ამისთვის აუცილებლად გჭირდება ადვოკატების ან საკონსულტაციო ცენტრის მხარდაჭერა! გთხოვ, არ წახვიდე BAMF-ში მარტო განაცხადის შესატანად, აუცილებლად წინასწარ მიიღე კონსულტაცია.

## დეპორტაციისგან დაცვა მძიმე დაავადების შემთხვევაში §60, პუნქტი7 ბინადრობის შესახებ კანონი

თუ შენ ხარ ძალიან მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური დაავადებით დაავადებული, დეპორტაცია შეიძლება დიდი საფრთხე იყოს შენს სიცოცხლისთვის. ამიტომ გჭირდება დაცვა დეპორტაციისგან. უცხოელთა სამმართველო ხშირად მიიჩნევს, რომ შენ ჯანმრთელი ხარ. შენ უნდა დაამტკიცო, რომ მძიმე ავადმყოფობა გაქვს. ისინი არ იღებენ ყველანაირ მტკიცებულებას. აუცილებელია სპეციალური სამედიცინო დასკვნა (ärztliches Gutachten), ამის გამზადებას რამდენიმე კვირა სჭირდება. განსაკუთრებით ფსიქიკური დაავადებების შემთხვევაში, მკურნალობისთვის ხშირად გიწევს დიდი ხანი ლოდინი. კიდევ უფრო რთულია მკურნალობის მიღება, თუ გაქვს ე.წ. ჯანმრთელობის ქვითარი (Kranken-Behandlungs-Schein) სოციალური სამსახურისგან.

ეს ნიშნავს, რომ ამ პროცესის გავლა რთულია და დრო სჭირდება, სანამ შენ შეძლებ მტკიცებულებები გაუგზავნო უცხოელთა სამმართველოს. სამედიცინო დასკვნის მიღების შემდეგ, აუცილებელია, რომ იგი არაუგვიანეს 2 კვირაში გააგზავნო უწყებას.

გთხოვ, აჩვენე ეს ინფორმაცია შენს ექიმს სპეციალური სამედიცინო დასკვნისთვის (ärztliches Gutachten):

🌐 **bbonlink.de/attest** Deutsch | გერმანული

უცხოელთა სამმართველოს მოვალეობაა, რომ დეპორტაცია მოახდინოს ადამიანებზე, რომლებსაც დროებითი ნებართვა (Duldung) აქვთ. ამიტომ იყავი ფრთხილად და არ ენდო იმას, რასაც თანამშრომლები გეტყვიან. მოითხოვე ყველა ინფორმაციისთვის წერილობითი დადასტურება! თუ დაბნეული ხარ, ჰკითხე მხარდამჭერებს, რომ გამოგყვნენ უცხოელთა სამმართველოში.

ისაუბრე ცოტა, მაგრამ იყავი თავაზი თანამშრომლებთან. ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდე მხოლოდ წერილობითი დოკუმენტებით. მაგალითად: სამუშაო ხელშეკრულება, სწავლების ხელშეკრულება, პასპორტი, სამედიცინო დასკვნა ...

არ არის საკმარისი, თუ ამას მხოლოდ თანამშრომლებს მოუყვები.

აქ შეგიძლია სხვადასხვა ენებზე მოუსმინო ინფორმაციებს შენს უფლებებზე სხვადასხვა უწყებებში :

🔊 **bbonlink.de/sfraudio** ქართული

*ეს ინფოhმაცია ასევე ხეღმისაწვდომია სხვა ენებზე*

- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** არაბული | العربية
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** Deutsch | გერმანული
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** español | ესპანური
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** ფარსი | فارسی
- 🔊 **bbonlink.de/sfraudio** ურდუ | اردو

## დამატებითი რჩევები მხარდამჭერებისთვის თემაზე: დარჩენის უფლებები

შენ შეგიძლია მრავალმხრივ დაეხმარო დარჩენის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებში: გერმანულის სწავლაში და ენის ცოდნის გაუმჯობესებაში, საორიენტაციო კურსი „ ცხოვრება გერმანიაში“ ტესტისთვის მომზადებაში, სასწავლო ან სამუშაო ადგილის მოძიებაში, წერილების ფორმულირებაში, სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის უზრუნველყოფაში ან პეტიციის გავრცელებაში. საკონსულტაციო ცენტრებს შეუძლიათ დახმარება და დამატებითი რჩევების მოცემა. დაეხმარე, რაც შეიძლება სწრაფად შეაგროვო დოკუმენტები დარჩენის უფლებისთვის ან იმის დასამტკიცებლად, რომ დეპორტაცია შეუძლებელია. ამის მაგალითებია: დაავადების დამადასტურებელი საბუთები, მოგზაურობის შეუძლებლობის დამადასტურებელი საბუთები, ორსულობა, სასწავლო ადგილი, სამუშაო ადგილი, ქორწინება და ა.შ.

# როგორ დავიცვა თავი დეპორტაციისგან?

## დეპორტაციის შეჩერება

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **დეპორტაციის შეჩერება**
**bbonlink.de/flyer-ka-prevent-deportation**
ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

აქ შეგიძლია შეიტყო კოლექტიური დეპორტაციის თარიღები:

***Deportation Alarm***
***de.deportationwatch.net/en***
*Facebook:* ***@Deportation-Alarm***
*Instagram:* ***@deport_alarm***
*Telegram:* ***@deportation_alarm***

შენ შეგიძლია დაიმალო და სხვაგან დაიძინო. მაგრამ ხელისუფლების ორგანოების შეხვედრებზე მაინც უნდა გამოცხადდე – ან გააუქმო, მაგალითად, იმ მიზეზით რომ ხარ ავად.

გინდა გაიგო, იყო თუ არა პოლიცია შენთან, როცა სახლში არ იმყოფებოდი? მეზობლებს შეუძლიათ გაგაგებინონ, თუ წინასწარ აუხსნი სიტუაციას. თუ მარტო ცხოვრობ, შეგიძლია პატარა ქაღალდი ან კბილის ჯოხი მჭიდროდ ჩააჭირო კარებში, როცა სახლს ტოვებ. სახლში დაბრუნების შემდეგ, ასე შეგიძლია შეამოწმო, გააღო თუ არა ვინმემ კარი.

W2eu გამოაქვეყნა ბუკლეტი მნიშვნელოვანი რჩევებით, თუ როგორ შეიძლება დეპორტაციების შეჩერება.

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/w2eu-deportationar** არაბული | العربية
- **bbonlink.de/w2eu-deportationen** english | ინგლისური
- **bbonlink.de/w2eu-deportationfr** français | ფრანგული
- **bbonlink.de/w2eu-deportationde** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/w2eu-deportationfa** ფარსი | فارسی

დეპორტაციის წინააღმდეგ წინააღმდეგობის გაწევის შესახებ მრავალენოვანი ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იპოვოთ No Border Assembly-ზე.

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/resistancear** არაბული | العربية
- **bbonlink.de/resistance** english | ინგლისური
- **bbonlink.de/resistancefr** français | ფრანგული
- **bbonlink.de/widerstand** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/resistancefa** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/resistancepa** პაშტო | پښتو
- **bbonlink.de/resistanceru** Русский | რუსული
- **bbonlink.de/resistancesr** српски | სერბული
- **bbonlink.de/resistanceti** ???? | ტიგრინული
- **bbonlink.de/resistanceur** ურდუ | اردو

არსებობს „სოლიდარული თავშესაფარი “ (Soli-Asyl). ეს ნიშნავს, რომ ცხოვრობ სხვა ადამიანებთან, სადაც პოლიცია ვერ გიპოვის, აქ შეგიძლია იპოვო დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა ენებზე:

***Citizen Asylum Saxony***
***citizenasylum.noblogs.org/***
*ინფოrმაცია Soli-Asyl ის შესახებ*

არსებობს ასევე „ეკლესიური თავშესაფარი“ (Kirchen-Asyl). ეს ნიშნავს, რომ ცხოვრობ ეკლესიაში ან ეკლესიისთვის განკუთვნილ შენობაში. პოლიციამ იცის, სადაც ხარ, მაგრამ მათ არ აქვთ შენი წაყვანის უფლება. უმეტეს შემთხვევაში ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დეპორტაცია ხდება სხვა ევროკავშირის ქვეყანაში, დუბლინის წესების გამო. და უკეთესია, თუ წინასწარ გექნება პირადი კონტაქტი ეკლესიის წევრებთან ან მღვდელთან, აქ შეგიძლია იპოვო პირველადი ინფორმაცია:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🌐 **bbonlink.de/churchar** არაბული | العربية
- 🌐 **bbonlink.de/church** english | ინგლისური
- 🌐 **bbonlink.de/kirche** Deutsch | გერმანული
- 🌐 **bbonlink.de/churchfa** ფარსი | فارسی

მიზანი ყოველთვის არის დეპორტაციის თავიდან აცილება. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის შესაძლებელი არ არის. თუ დეპორტაცია მაინც მოხდება, სასარგებლოა მნიშვნელოვანი საკითხების წინასწარ მომზადება, რათა სიჩქარეში არაფერი დაგვავიწყდეს.

# როგორ შემიძლია მოვემზადო დეპორტაციისთვის?

## მომზადება დეპორტაციისთვის

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **მომზადება დეპორტაციისთვის**

**bbonlink.de/flyer-ka-prepare-deportation**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

იმის მიუხედავად რომ ეს **საშიში და სარისკოა bbonlink.de/flyer-ka-stress** შენ შეგიძლია შესაძლო დეპორტისთვის მომზადება.

შეიძლება პოლიცია ღამითაც მოვიდეს, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ძალიან სწრაფად. ეს ინფორმაცია დაგეხმარება მიმდინარე დეპორტაციის დროს, კარგ შემთხვევაში მის შეჩერებაშიც:

მოამზადე საჭირო ნივთები: წამლები, საბუთები (ბავშვების დაბადების მოწმობები, სამედიცინო დოკუმენტები, პასპორტები და ა.შ.). წინასწარ შეათანხმე სანდო ადამიანთან, რომ საფრთხის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეგიძლია დაურეკო. დაწერე მისი და შენი ადვოკატის სახელი და ტელეფონის ნომერი, შეინახე მარტივად საპოვნელ ადგილას, მაგ. კარის გვერდით დაკიდე ფურცელი. თუ დეპორტაცია განხორციელდება, სანდო პირი შეძლებს გამოგიგზავნოს ნივთები, რისი წაღებაც ვერ მოახერხე ან დაგავიწყდა. იცნობ ადამიანებს, რომლებიც საფრთხის შემთხვევაში სწრაფად მოვლენ შენთან და დეპორტაციისთვის წინააღმდეგობის გაწევას მოახერხებენ? ამ შეთხვევაში, დაგეგმეთ ერთად, ვის აცნობო ინფორმაცია. ეს ადამიანი შემდეგ გადასცემს სხვებს ინფორმაციას ( ჯაჭვი). ხშირად ვერ იპოვი საკმარის ადამიანებს, რომლებიც ეცდებიან დეპორტაციის შეჩერებას. მიუხედავად ამისა, შეგიძლია მაინც დაუკავშირდე რამოდენიმეს, რათა მოვიდნენ მხარი დაგიჭირონ და იყვნენ მოწმეები. გაქვს მტკიცებულება, რომ შენ ან შენი ოჯახი არ უნდა დაგადეპორტონ? მოამზადე საჩვენებლად. ეს შეიძლება იყოს, მაგ. სამედიცინო დასკვნები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, დედობის პასპორტი, უწყებებიდან ან ადვოკატებიდან წერილები. რეგულარულად ეკონტაქტე შენს ადვოკატს და მხარდამჭერებს. დარწმუნდი, რომ მათ აქვთ შენი უახლესი დოკუმენტები და ინფორმაციები, რომელიც შეიძლება დაგეხმაროს დარჩენაში, მაგ. სამუშაო ხელშეკ-რულება, სამედიცინო დოკუმენტები... თუ გსურს, მოაწერე ხელი **ნიმუშებს bbonlink.de/page-ka-forms** ასაც აქ სასწრაფო დახმარების ნაკრებში იპოვი, და შეგიძლია მისზე იმ ადამიანს ვისაც ენდობი. ის შეძლებს სწრაფად მოახდინოს რეაგირეა, როცა შენი არ გაქვს ამისთვის დრო.

აგრეთვე არის **სხვა ინფორმაციები მხარდამჭერებისთვის. bbonlink.de/kit-ka-support** . აქ არის **კონტაქტები bbonlink.de/page-ka-contacts** სახელმწიფო უწყებების, სასამართლოების და პოლიტიკოსების. მათთან დარეკვას შეძლებს შენი სანდო პირი თუ შენ დაგადეპორტებენ.

ესაუბრე ოჯახს, მეგობრებს ან ნაცნობებს, როგორ შეუძლიათ და როგორ სურთ შენი მხარდაჭერა, და აჩვენე მათ ეს სასწრაფო დახმარების ნაკრები.

ხშირად დეპორტაციები ხდება ფარულად, უმეტესობა საქსონიაში ამას ვერ იგებს.

შეგიძლია შენი მოსალოდნელი დეპორტაცია მხარდამჭერების დახმარებით საჯაროდ გაახმოვანო. ზოგჯერ ამას შეუძლია მიმდინარე დეპორტაციის შეჩერება. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიზლება მეტმა ადამიანმა გაიგოს, რამდენად მძიმე და საზიანოა დეპორტაციები.

აქ არის **რჩევები პროტესტისთვის და ინდორმაციის გასაჯაროებისთვის bbonlink.de/page-ka-publicity** დეპორ-ტაციის დროს.

დაფიქრდი, რომელი ინფორმაციის გასაჯაროება გსურს და განიხილე ეს შენს მხარდამჭერებთან.

აქვთ მათ უფლება გაასაჯარონ ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციები:

- როგორ მიმდინარეობდა დეპორტაცია?
- როგორი იყო შენი ცხოვრება გერმანიაში? (სამსახური, სკოლა, მოხალისედ მუშაობა, ჯანმრთელობა, სამართალდარღვევები...)
- რას გაექეცი? რისი ან ვისი გეშინია უკან დაბრუნების შემთხვევაში?
- გინდა შენი სახელის ან ფოტოსურათების, ვიდეოების გასაჯაროება თუ არა ?

მას შემდეგ, რაც ამ თემით დაკავდები, შეხვდი საყვარელ ადამიანებს და გააკეთე რამე სასიამოვნო.

მნიშვნელოვანია დეპორტაციის საფრთხის აღქმა და კარგად მომზადება. მაგრამ არ მისცე შიშს უფლება შეგიპყროს!

## დამატებითი რჩევები მხარდამჭერებისთვის თემაზე: დეპორტაციისთვის მომზადება

შენ შესაძლოა გახდე სანდო პირი, რომელსაც სასწრაფო შემთხვევის დროს დაუკავშირდებიან და რომელსაც მზად აქვს მინდობილობა ან სასწრაფო განცხადებები. თუმცა, თუ ნამდვილად მზად ხარ მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდი ამ როლს. თუ სავარაუდოდ შეძლებ მის შესრულებას. შეგიძლია მოძებნო ადამიანები, რომლებიც გადაუდებელი სიტუაციების დროს სწრაფად შეძლებენ მობილიზებას და ბლოკირების მოხდენას. დეპორტაცი-ისთვის მომზადება შეიძლება ძალიან რტული იყოს, შეატყობინე დაზარალებულებს ყველა შესაძლებლობის შესახებ და შესთავაზე შენი მხარდაჭერა, მაგრამ ნუ აიძულებ და ნუ შეეცდები გადარწმუნებას.

# დეპორტაცია მიმდინარეობს – რისი გაკეთება შემიძლია?

დეპორტაციის ორგანიზებას აკეთებს ფედერალური მიწის ცენტრალური მიგრაციის სამსახურები, ხოლო ახორცი-ელებს პოლიცია.

2025 entschied das Bundesverfassungsgericht: Die Polizei braucht für Abschiebungen einen Durchsuchungs-Beschluss vom Amtsgericht. Ohne Beschluss musst du sie nicht in die Wohnung lassen. Das gilt auch für Zimmer in Unterkünften oder Lagern oder beim Arbeitgeber. Die Polizei darf nur ohne Durchsuchungsbeschluss in dein Zimmer, wenn sie dich hineinlaufen sieht oder durch ein Fenster sieht. Wenn die Polizei ohne Durchsuchungsbeschluss kommt, kannst du Widerspruch einlegen.

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🌐 **bbonlink.de/bverfg** Deutsch | გერმანული

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- 🗋 **bbonlink.de/durchsuchung** Deutsch | გერმანული

## პოლიცია და დეპორტები

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **პოლიცია და დეპორტები**

**bbonlink.de/flyer-ka-police**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 17.3.2026

პოლიციას შეუძლია დეპორტისთვის ბევრ ადილად მოვიდეს, მაგ. სახლში, სახელმწიფო დაწესებულებებში შეხვედრის დროს, სამსახურში ან ქუჩაში. ზოგჯერ პოლიცია ცდილობს ოჯახთან ან მეგობრებთან მისვლასაც, თუ მათ მისამართი აქვთ. ყველა მისამართი, რომელიც რაიმე უწყებისთვის (სოციალური სამსახური, უცხოელთა სამმართველო, BAMF, მერია) ცნობილია, არის საშიში. პოლიცია ნებისმიერ დროს შეიძლება მოვიდეს, ხშირად დილით ადრე. ამ შემთხვევაში ხშირად დეპორტაციის შეჩერება უკვე შეუძლებელია. თვითმფრინავით დეპორტა-ციამდე მხოლოდ რამდენიმე საათია საჭირო.

ამ ბროშურაში იპოვი ინფორმაციას **მიმდინარე დეპორტაციის დროს bbonlink.de/flyer-ka-ongoing-deportation** რისი გაკეთება შეიძლება.

## პოლიცია საცხოვრებლის წინ?

იყავი მშვიდად და გამორთე შუქი თუ შენ ხარ ის ადამიანი, ვისი დადეპორტება უნდათ, არ გააღო კარი, თუ არ გინდა დეპორტაცია! თუ ბინაში სხვა ადამიანებიც ცხოვრობენ, რომლებსაც დეპორტაცია არ ემუქრებათ, ისინი უნდა ესაუბრონ პოლიციას და შეიძლება ბინაშიც შეუშვან. შენ შეგიძლია დაიმალო სხვის ოთახში და ჩაკეტო კარი. ამის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინე შენს ადვოკატს ან მხარდამჭერებს. სასწრაფოდ გჭირდება კონსულტაცია. თუ პოლიციამ ერთხელ სცადა, უმეტეს შემთხვევაში ისინი ისევ დაბრუნდებიან და ხელახლა ცდიან!

## პოლიცია თავშესაფარში / ბანაკში?

მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია!

გაარკვიე, ვინ მიიღო BAMF-ისგან უარყოფითი გადაწყვეტილება და ვის ემუქრება დეპორტაცია. სად არის ბანაკში კარგი დამალვის ადგილები, სადაც სწრაფად შეიძლება მისვლა? რომელი სოციალური მუშაკები ან დაცვის თანამშრომლები არიან კეთილგანწყობილი და შეუძლიათ დახმარება? ესაუბრე მათ! მიიღე ინფორმაცია დაგეგმილი დეპორტაციების თარიღების შესახებ! ასე გეცოდინება, როდის შეიძლება პოლიცია ბანაკში შევიდეს. ინფორმაცია, მაგ. შეგიძლიათ იპოვო Instagram-ზე, Facebook-ზე ან Telegram-ზე:

***Deportation Alarm***
***de.deportationwatch.net/en***
*Facebook:* ***@Deportation-Alarm***
*Instagram:* ***@deport_alarm***
*Telegram:* ***@deportation_alarm***

თუ პოლიცია ბანაკში შევა, ისინი, ვისაც დეპორტაცია ემუქრება, უნდა დაიმალონ. მათ ვისაც დეპორტაცია არ ემუქრება, შეუძლიათ დახმარება და მხარდაჭერის გაწევა. ამისთვის წინასწარ უნდა მოემზადოთ. ესაუბრე ადამიანებს შენს თავშესაფარში. ბევრს ეშინია ან საკუთარ თავშესაფრის პროცესზე დარდობს, მაგრამ ერთად შეგიძლიათ დეპორტაციების შეჩერება: ადამიანებს, ვისაც დეპორტაცია არ ემუქრება, შეუძლიათ სხვები დამალონ. აგრეთვე შესაძლებელია ოთახების გაცვლა. შეგიძლიათ დეპორტაციის დროს შესასვლელთან შეიკრიბოთ, ხმაური ატეხოთ და პოლიციის ყურადღება გადაიტანოთ. შეგიძლიათ ერთმანეთი სასტვენებით გააფრთხილოთ. პოლიცია ცდილობს სხვა ოთახებშიც მოძებნოს ადამიანები, იმ ოთახებშიც კი, სადაც ისინი არ ცხოვრობენ! თუ პოლიცია შენს ოთახში შემოვა და სხვას ეძებს, მკაფიოდ, მაგრამ მშვიდად გააპროტესტე. პოლიციას შეუძლია შენს ოთახში „შესვლა“, მაგრამ არა „ჩხრეკა“. ანუ არ აქვს უფლება კარადებში ან საწოლის ქვეშ ჩაიხედოს. აცნობე სხვებს დეპორტაციების და პოლიციის ქცევის შესახებ! სცადე ფარულად გადაიღო ვიდეო ან გააკეთო აუდიოჩანაწერები. ყურადღებით დააკვირდი ყველაფერს და შემდეგ ყველაფერი დაწერე.

## პოლიცია შენი სამსახურიდან წაგიყვანს:

ოფისში ან კომპანიის ტერიტორიაზე შესასვლელად პოლიციას ესაჭიროება ჩხრეკის განკარგულება თხოვე შენს უფროსს ან ხელმძღვანელს, პოლიციას ეს განკარგულება მოსთხოვოს. შეგიძლია კოლეგებს აუხსნა, რომ პოლიცია შენ არ გიჭერს კრიმინალური დანაშაულისთვის, არამედ დეპორტაციების დროს ხშირად ძალიან სასტიკი ხდებიან. თუ შენი სამუშაო შეიძლება იყოს საფუძველი ცხოვრების უფლებისთვის, თხოვე კოლეგებს, რომ შენი სამუშაო კონტრაქტი, უახლესი ხელფასის ცნობა ან მხარდაჭერის წერილი გაუგზავნონ შენს ადვოკატს ან მხარდამჭერს.

## პოლიცია აგიყვანს სახელმწიფო უწყებიდან ან ქუჩაში კონტროლის დროს:

თუ დეპორტაციის საფრთხე დიდია, უმჯობესია უწყებაში მისვლისას ყოველთვის თან წაიყვანო მეგობარი ან მხარდამჭერი და მარტო არ იარო. მათ შეუძლიათ შენთვის უცხოელთა სამმართველოს გარეთ და საქმის განმხილველის ოთახთან შეამოწმონ, არის თუ არა იქ პოლიცია და ფარულად გაგაფრთხილონ. თუ უწყებაში დანიშნულ შეხვედრაზე ვერ მიდიხარ, აუცილებლად უნდა გააუქმო. ჯობია რომ შეხვედრის დღეს დაუგზავნა უწყებას ელექტრონული ფოსტა. უნდა გქონდეს მნიშვნელოვანი მიზეზი (მაგ. ავადმყოფობა) და დამადასტურებელი საბუთი (მაგ. ექიმის ცნობა). თუ შეხვედრას უმიზეზოდ გააცდენ, უწყება შეუძლია ჩაგთვალოს როგორც „გაქცეული“ და გამოაცხადოს შენზე ძებნა. ეს ნიშნავს, რომ პოლიციას შეუძლია დაგაპატიმროს ყველგან და უფრო მოხვდე სადეპორტო ციხეში. თუ პოლიცია დაგიჭერს, გაქვს უფლება დაურეკო შენს ადვოკატს ან სხვა მხარდამჭერს.

გთხოვ, აცნობე ყოველი დეპორტაციის მცდელობა ასევე საქსონიის ლტოლვილთა საბჭოს (SFR) დეპორტაციის მონიტორინგის სამსახურს:

***Abschiebemonitoring des Sächsischen Flüchtlingsrates***
***deportationwatch@sfrev.de***
***www.saechsischer-fluechtlingsrat.de/abschiebemonitoring/***

# დამატებითი რჩევები მხარდამჭერებისთვის თემაზე: პოლიცია და დეპორტაციები

პოლიცია აკაკუნებს, ხოლო პირს, რომელიც შენთან ერთად ცხოვრობს, ემუქრება დეპორტაცია?

არ გააღო კარი! ჯერ სცადე პოლიციასთან საუბარი და გაიგე, რას უნდათ. ყურადღება: პოლიციას შეუძლია მოგატყუოს და დეპორტაციის ნაცვლად სხვა მიზეზი გითხრას. ასე რომ, უნდა იყო ფრთხილად.უსაფრთხოების მიზნით დაზარალებული პირი უნდა დამალო ოთახში და ჩაკეტო კარი. შენ შეგიძლია მობილურით ფარულად გადაიღო ვიდეო- ან გააკეთო აუდიოჩანაწერი. უმჯობესია, რაც შეიძლება სწრაფად აცნობო მეგობრებს ან ადვოკატებს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ბინაში მარტო ხარ, კარგია, რომ ტელეფონზე ვინმეს ესაუბრებოდე. თუ ადვოკატს დაუკავშირდები, მას შეუძლია სცადოს პოლიციასთან საუბარი.

თუ პოლიცია ბინის წინ დგას და შიგნით შემოსვლას ცდილობს ,ჰკითხე აქვთ თუ არა ჩხრეკის ორდერი. თუ პოლიციას ორდერი არ აქვს, არ აქვს უფლება შიგნით შემოვიდეს, თუ შენ ამას არ დათანხმდები. ეს ძალიან მკაფიოდ,გასაგებად მაგრამ მშვიდად უნდა უთხრა. არ მისცე პოლიციას უფლება სხვა რამე დაგაჯეროს. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციის 13 მუხლი : პოლიციას არ აქვს უფლება შემოვიდეს შენს ბინაში ჩხრეკის ორდერის გარეშე, თუ შენ ამაზე თანახმა არ ხარ. გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს სასწრაფო, გადაუდებელი საფრთხე. მაგ. თუ პოლიცია დანაშაულს ეჭვობს. მშვიდად აუხსენი პოლიციას, რომ „სასწრაფო საფრთხე“ არ არსებობს და მათ შიგნით შემოსვლის უფლება არ აქვთ.

თუ პოლიცია იტყვის, რომ ერთი პირის დეპორტაცია უნდა მოახდინოს და მას ეძებს, უთხარი, რომ ეს პირი აქ არ იმყოფება. პოლიცია, სავარაუდოდ, მაინც ეცდება ბინაში შესვლას. ისინი იტყვიან, რომ მხოლოდ შემოვლენ და არ დაიწყებენ ჩხრეკვას. სამართლებრივად, სამწუხაროდ, ეს რთული პროცესია. ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა იძულებული გახდე პოლიცია ბინაში შეუშვა, მაგრამ მკაფიოდ აუხსენი, რომ ამას არ ეთანხმები. ძირითადად, ასეთ შემთხვევაში პოლიციას მხოლოდ დერეფანში შესვლის ან რამდენიმე ოთახში შეხედვის უფლება აქვს, მაგრამ მას არ აქვს უფლება აქტიურად ეძებოს ის პირი, რომლის დეპორტაციაც სურს.

თუ პოლიცია საერთო საცხოვრებელშია, სხვა თანამაცხოვრებლების ოთახის კარები უნდა იყოს ჩაკეტილი. პოლიციას შეხვლის უფლება არ აქვს !

კითხე ოპერაციის ხელმძღვანელის სახელი. ეცადე ყველაფერი ზუსტად დაიმახსოვრო: რამდენი არიან? რას ამბობენ? რას აკეთებენ?

უნდა გაჰყვე პოლიციას ყველგან. შეგიძლია პოლიციას აჩვენო იმ პირის ოთახი, რომლის დეპორტაციაც უნდა განხორციელდეს. პოლიციას მხოლოდ ამ ოთახში შესვლის უფლება აქვს . წინააღმდეგობა გაუწიე ნებისმიერი სახის ჩხრეკას (მაგალითად: კარადების გაღებას, საბნების ქვეშ ჩახედვას).

როცა პოლიცია წავა, უნდა მოამზადო „მეხსიერების პროტოკოლი“ და დაუყოვნებლად ჩამოწერო ყველაფერი, რაც მოხდა. შეგიძლია ასევე აუდიოჩანაწერი გააკეთო. ესაუბრე ადვოკატს ან საკონსულტაციო ცენტრს, მიიღე ინფორ-მაცია, შეძლებთ თუ არა შენ და სხვა ბინის მაცხოვრებლები წერილობითი საჩივრის გაკეთებას ჩხრეკის წინააღმდეგ და პოლიციას უჩივლებთ.

## პოლიცია საავადმყოფოსა და სკოლის წინ?

იშვიათ შემთხვევებში პოლიცია ცდილობს, ვინმე საავადმყოფოდან ან ბავშვები სკოლიდან დაადეპორტოს. ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა! საავადმყოფოს პერსონალს და პედაგოგებს ვალდებულება აქვთ ეს აკრძალონ და მათ ამის უფლებაც აქვთ.

აქ შეგიძლიათ ნახოთ დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფკავშირის სკოლებიდან დეპორტაციის მცდელობების შესახებ: :

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/gew** Deutsch | გერმანული

ამ ვებგვერდზე შესაძლებელია საავადმყოფოში დეპორტაციის მცდელობების შეტყობინება. ასევე დამატებითი ინფორმაცია საავადმყოფოს პერსონალის უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ:

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/krankenhaus** Deutsch | გერმანული

თუ დეპორტაცია გემუქრება და გეშინია, უმჯობესია თუ ქვემოთ დაწერილ ინფორმაციებს მშვიდად გაეცნობი, დეპორტაციის დროს ამისთვის დრო არ გექნება.

## მიმდინარე დეპორტაცია

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **მიმდინარე დეპორტაცია**

**bbonlink.de/flyer-ka-ongoing-deportation**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

ბევრისთვის ეს შოკია: პოლიცია არის იქ. შეიძლება ბევრი პოლიციელი მოვიდეს და ისინი შესაძლოა არამეგობ-რულები იყვნენ. ისინი ვერ ხვდებიან, რამდენად რთულ სიტუაციაში ხარ. მათ არ ყავთ თარჯიმნები. ხშირად

რთულია მათთან საუბარი და ვერ მიხვდები, რას გთხოვენ.

ამ ბროშურაში იპოვი მეტ ინფორმაციას **პოლიციის და დეპორტაციის შესახებ bbonlink.de/flyer-ka-police**

მიუხედავად იმისა რომ ეს ძალიან რთულია მაინც უნდა სცადო მშვიდად ყოფნა.თუ ისინი აგრესიულად ჩაგთვლიან პოლიციელებმა შეიძლება გამოიყენონ ძალადობა, დაგადონ ხელბორკილები ან ოჯახი დააშორონ ერთმანეთს.

ვინ არის ხელმძღვანელი პოლიციელი? მშვიდად ესაუბრე მას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ოჯახის რომელიმე წევრი არ იმყოფება სახლში? როგორ აპირებს პოლიცია თავიდან აიცილოს ოჯახის ერთმნეთთან დაშორება?
- აქვს რომელიმე ოჯახის წევრს ჯანმრთელობის პრობლემა ან არის ორსულად? არსებობს ამის მტკიცებულება? მოითხოვე პოლიციისგან ექიმთან დარეკვა, რათა შეამოწმონ შეგიძლია თუ არა მგზავრობა.
- ოჯახის რომელიმე წევრს აქვს ცხოვრების ნებართვა, აუსბილდუნგის დულდუნგი, ან მუშაობის დულდუნგი? გაქვთ თავშესაფრის მოთხოვნა წარდგენილი რომელიც ჯერ არ არის დახურული?
- აქვს რომელიმეს პანიკური შეტევა? მაშინ მოითხოვე სასწრაფო ექიმის გამოძახებ

სცადე, მოაგროვო ინფორმაცია:

- გადეპორტებენ ვტობუსით თუ როგორც ხშირ შემთხვევაში თვითმფრინავით?
- რომელი აეროპორტიდან და როდის არის გაფრენა?
- გაფრენამდე გადაგიყვანენ პოლიციის განყოფილებაში ?
- რას ისახავს დეპორტაციის მიზანი? რომელ ქალაქში ჩამოფრინდებით.
- რას ისახავს დეპორტაციის მიზანი? რომელ ქალაქში ჩაფრინდებით?

ერთ ადამიანზე 20 კგ დასაშვებია. ნუ დაივიწყებ მთავარს: წამლები, საბუთები (ბავშვების დაბადების მოწმობა, სამედიცინო დოკუმენტები, პასპორტები და ა.შ.), ტანსაცმელი პირველი დღეებისთვის...

პოლიციას შეუძლია ჩამოგართვას ნაღდი ფული. ეს იმისთვის კეთდება, რომ დეპორტაციის ხარჯების ნაწილი შენ თავად გადაიხადო. მათ ასევე აქვთ უფლება გაჩხრიკონ თქვენი პირადი ნივთები. თუ დეპორტაცია გემუქრება, უმჯობესია ფული მისცე სანდო პირს. მას შეუძლია გადაიხადოს ადვოკატების საფასური ან დეპორტაციის შემდეგ გამოგიგზავნოს ის. როცა პოლიცია გადაწყვეტს რამე ჩამოგართვას აუცილებლად უნდა მოგცეს ქვითარი ან ოფიციალური საბუთი. შენი მხარდამჭერი ან ადვოკატი შეამოწმებს, ჰქონდა თუ არა პოლიციას ამის უფლება.

ხშირად პოლიცია ართმევს ტელეფონს. უმჯობესია, თუ შეძლებ სადმე მეორე ტელეფონის დამალვას. თუ მოახერხებ, ფარულად გააკეთე აუდიო- ან ვიდეოჩანაწერები. დაჟინებით მოითხოვე, რომ ტელეფონის წართმევამდე დაგარეკინონ: დაურეკე შენს ნდობის პირს ან შენს ადვოკატს. თუ შესაძლებელია, მოვიდეს მხარდამჭერი ადამიანი და დეპორტაციის დროს გვერდში დაგიდგეს. ან მას შეუძლია შენს ნაცვლად განახორციელოს ზარები, მაგ. ადვოკატთან დარეკოს. ასევე შეგიძლია დაურეკო ნაცნობებს ან მეგობრებს დეპორტაციის დანიშნულების ქალაქში, რომ დაგხვდნენ და შენთვის ღამის გასათევი მოაწყონ.

შენ ან შენმა მხარდამჭერმა ასევე უნდა **დეპორტაციის ზედამხედველობის ორგანოს bbonlink.de/page-ka-contacts** დაეკონტაქტოთ. მიაწოდოთ ინფორმაცია შენი მდგომარეობის შესახებ და ჰკითხე როგორ შეიძლება შენი დახმარება.

პოლიციას მიყავს ადამიანები პოლიციის განყოფილებაში. შემდეგ აეროპორტში ან ავტობუსში, რომლითაც დეპორტაცია მოხდება. დეპორტაცია ხშირად რამდენიმე საათს გრძელდება. ამ დროს შენს მხარდამჭერებს ან ადვოკატს შეუძლია გამოიყენოს დრო, რათა სამართლებრივად შეაჩერონ დეპორტაცია. თუმცა ახლა მათ ბევრი საქმე აქვთ, უნდა იმოქმედონ სწრაფად და იყვნენ ტელეფონზე ხელმისაწვდომები! შესაძლოა, მათ შეძლონ BAMF-ს თავშესაფრის ახალი განაცხადით მიმართონ ან დულდუნგის განაცხადით, ასევე წარადგინონ სასწრაფო განაცხადი დეპორტაციის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სასამართლოში.

თუ სამართლებრივად შანსს ვერ ხედავ, შეგიძლია დეპორტაციის შეჩერება სხვა გზებითაც სცადო. მაგრამ ფრთხილად: პოლიცია ხშირად მკაცრია და ძალადობრივად რეაგირებს!!!

- შეგიძლია სცადო წინააღმდეგობის გაწევა და გაქცევა
- მეგობრებს შეუძლიათ პოლიციის ბლოკირება
- შეგიძლია უარი თქვა თვითმფრინავში დაჯდომაზე

🎞 **bbonlink.de/airplane** ქართული

*ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სხვა ენებზე*

- 🎞 **bbonlink.de/airplane** არაბული | العربية
- 🎞 **bbonlink.de/airplane** english | ინგლისური
- 🎞 **bbonlink.de/airplane** français | ფრანგული
- 🎞 **bbonlink.de/airplane** Deutsch | გერმანული
- 🎞 **bbonlink.de/airplane** Kurdî | ქურთული
- 🎞 **bbonlink.de/airplane** español | ესპანური
- 🎞 **bbonlink.de/airplane** ფარსი | فارسی
- 🎞 **bbonlink.de/airplane** Türkçe | თურქული
- 🎞 **bbonlink.de/airplane** ურდუ | اردو

*ეს მასალა ხელმისაწვდომია მხოლოდ სხვა ენებზე*

- **bbonlink.de/resistancear** არაბული | العربية
- **bbonlink.de/resistance** english | ინგლისური
- **bbonlink.de/resistancefr** français | ფრანგული
- **bbonlink.de/widerstand** Deutsch | გერმანული
- **bbonlink.de/resistancefa** ფარსი | فارسی
- **bbonlink.de/resistancepa** პაშტო | پښتو
- **bbonlink.de/resistanceru** Русский | რუსული
- **bbonlink.de/resistancesr** српски | სერბული
- **bbonlink.de/resistanceti** ???? | ტიგრინული
- **bbonlink.de/resistanceur** ურდუ | اردو

დაფიქრდი, რა არის შენთვის და შენი ოჯახისათვის უკეთესი: გინდათ დეპორტაცია რაც შეიძლება სწრაფად გადაიტანოთ და ნაკლები ძალადობა გამოიაროთ? თუ გინდათ ყველაფერი სცადოთ, რომ დრო მოიგოთ და კიდევ ერთი შანსი გქონდეთ დეპორტაციის შეჩერებისთვის? ყურადღება: თუ ძალიან ძლიერად გაუწევ წინააღმდეგობას და ამით დეპორტაციას შეაჩერებ, შეიძლება ჩაგსვან **სადეპორტო ციხეში bbonlink.de/flyer-ka-detention** და დაგაშორონ შენს ოჯახს

გთხოვ, აცნობე დეპორტაციის ფაქტი ან მისი მცდელობა SFR e.V.-ის დეპორტაციის მონიტორინგის სამსახურს:

***Abschiebemonitoring des Sächsischen Flüchtlingsrates***
***deportationwatch@sfrev.de***
***www.saechsischer-fluechtlingsrat.de/abschiebemonitoring/***

## დამატებითი რჩევები მხარდამჭერებისთვის თემაზე: მიმდინარე დეპორტაცია

დეპორტაცია ტრავმულია და ხშირად შეუძლებელია მისი შეჩერება. მაგრამ მაინც უნდა სცადო. თანმხლები პირები და მოწმები ყოველთვის მნიშვნელოვანია. შეეცადე შეინარჩუნო სიმშვიდე. ყურადღება გაამახვილე დაზარალებულებზე – რა სჭირდებათ ახლა შენგან? დაუდეგი დაზარალებულს გვერდით, მაგრამ ასევე შეეცადე გქონდეს კონტაქტი პოლიციელებთან და საჭიროების შემთხვევაში იქ მყოფ ექიმებთან.

შეგიძლიათ შეამოწმოთ სამართლებრივი შესაძლებლობები, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუძლიათ შეაჩერონ დეპორტაცია:

- არსებობს ახალი მიზეზები ან მტკიცებულებები ახალი თავშესაფრის მოთხოვნისთვის? საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, აქ ნახავ ერთს **ნიმუში bbonlink.de/page-ka-forms** .
- არსებობს მიზეზები Duldung-ისთვის? იქნებ, რეალურად ყველა პირობა ცხოვრების ნებართვის მისაღებად უკვე დაკმაყოფილებულია? ან დეპორტაცია მოხდა უბრალოდ უცხოელთა სამმართველოს გადაწყვეტილებით? ან არსებობს სრულიად ახალი სამედიცინო დასკვნები, რომლებიც მიუთითებს მგზავრობის შეუძლებლობაზე? ან იგეგმება ქორწინება და მნიშვნელოვანი საჭირო დოკუმენტები უკვე მოგროვებულია? ან ელოდება შვილის დაბადებას? Duldung-ისა და დეპორტაციის შეფერხების მრავალი მიზეზი არსებობს. მიმდინარე დეპორტაციის სტრესის დროს, ეს მიზეზები უნდა იყოს უკვე ცნობილი და თითქმის ყოველთვის საჭიროა რაიმე დოკუმენტი, როგორც დეპორტაციის შეფერხების მტკიცებულება. ამიტომ არის კარგი მომზადება დეპორტაციის საფრთხის დროს მნიშვნელოვანი.

მაგრამ, თუ ხედავ სამართლებრივ მიზეზებს, რომლებსაც შეუძლიათ შეაჩერონ დეპორტაცია, უნდა სცადო!

ადვოკატებმა, შენ ან სხვა მხარდამჭერებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გააგზავნონ განაცხადი და ყველა მტკიცებულება BAMF-ში განმეორებითი თავშესაფრის მოთხოვნა (Asylfolgeantrag) ან უცხოელთა სამმართველოში (Duldung) ფაქსით. ამისთვის აუცილებელია დაზარალებულის ხელმოწერა და მინდობილობა. კარგია , თუ ეს წინასწარ იქნება მომზადებული. განაცხადი ასევე რეკომენდებულია გაიგზავნოს Landesdirektion-ში და გერმანიის ფედერალური პოლიციაში, რადგან სწორედ ეს ორი უწყება გეგმავს დეპორტაციას. ადვოკატებმა, შენ ან სხვა მხარდამჭერებმა ყოველთვის უნდა გაგზავნოთ Eilantrag (სასწრაფო განაცხადი) შესაბამის ადმინისტრაციულ სასამართლოში. გარდა ამისა, აცნობეთ აეროპორტში მოქმედ დეპორტაციის დამკვირვებელს, რომ არსებობს ღია განაცხადება და გერმანიის ფედერალური პოლიცია უნდა დაელოდოს პასუხს. განმეორებითი თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში BAMF-მა(ფედერალურმა პოლიციამ და ლანდესდირექციამ) უნდა გამოიტანოს „Prognose-Entscheidung“ ელ-ფოსტით (Bundespolizei-სა და Landesdirektion-ს) — სანამ ეს გადაწყვეტილება არ არის მიღებული, დეპორტაცია არ შეიძლება! ადვოკატმა, შენ ან სხვა მხარდამჭერმა უნდა აწარმოოთ აქტიური კომუნიკაცია დეპორტაციის დამკვირვებელთან, ფედერალურ პოლიციასთან და ლანდესდირექციასთან, იყავით ტელეფონით მუდმივად ხელმისაწვდომი და დადებითი გადაწყვეტილებები აცნობეთ რაც შეიძლება სწრაფად. ზოგჯერ ადმინისტაციულ სასამართლოს ან BAMF-ს გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო სჭირდება და თვითმფრინავი ამ დროს უკვე გაფრენილია; ასეთ შემთხვევაში დეპორტაცია დროებით შეჩერდება.

შენ კანონებში კარგად ვერ ერკვევი? მხარდაჭერის სხვა გზებიც არსებობს:

შენ შეგიძლია მნიშვნელოვანი ინფორმაციები შეაგროვო: ვინ არის ოპერაციის ხელმძღვანელი, რომელი აეროპორტიდან ხდება დეპორტაცია?

შენ შეგიძლია პოლიციას უთხრა დეპორტაციის შემაფერხებელი გარემოებები. შეგიძლია მოითხოვო, მდგომარეობა სერიოზულად მიიღონ. შეგიძლია ექიმიც მოითხოვო, თუ დაზარალებული ადამიანი მძიმე ავადმყოფია ან პანიკური შეტევა აქვს. შეგიძლია დაურეკო ადვოკატებს და სხვა მხარდამჭერებს, ან ფარულად ვიდეოჩაწერაც გააკეთო.

შენ შეგიძლია პოლიციას უთხრა დეპორტაციის შემაფერხებელი გარემოებები. შეგიძლია მოითხოვო, მდგომარეობა სერიოზულად მიიღონ. შეგიძლია ექიმიც მოითხოვო, თუ დაზარალებული ადამიანი მძიმე ავადმყოფია ან პანიკური შეტევა აქვს. შეგიძლია დაურეკო ადვოკატებს და სხვა მხარდამჭერებს, ან ფარულად ვიდეოჩაწერაც გააკეთო.

თუ შესაძლებელია, შენ და სხვა ადამიანებმა ერთად შეგიძლიათ ბლოკირების ორგანიზება — სახლის წინ, ავტობუსთან, პოლიციის განყოფილებასთან ან აეროპორტში, რეგულარული სამგზავრო რეისის დროს. კოლექტიური დეპორტაციების შემთხვევაში, სავარაუდოდ საჭიროა აეროპორტის გეიტის ან სპეციალური ზონის ძალიან ფართომასშტაბიანი ბლოკირება. ბლოკირებაში მონაწილე პირებს შესაძლოა ბრალდებები წაუყენონ, ამიტომ ისინი სამართლებრივად (სისხლისსამართლებრივად) ძალიან რისკავენ. ამ შემთხვევაში „წითელი დახმარების“ (Roten Hilfe) ადგილობრივ ჯგუფებს ან ადგილობრივ საგამოძიებო კომიტეტს შეუძლიათ მხარდაჭერის გაწევა.

დეპორტაციის განხორციელების შემდეგ ეცადე, დაზარალებულ პირებთან კონტაქტი დაამყარო. შესაძლოა შეძლო ყველაზე გადაუდებელ საჭიროებებში დახმარება (მაგალითად: ფინანსური მხარდაჭერა, ადვოკატებთან კონტაქტის შენარჩუნება და ა.შ.).

დეპორტაციები დამხმარე პირებისთვისაც ტრავმულია. განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ თავადაც ემუქრებათ დეპორტაცია. სამწუხაროდ, ბევრ დეპორტაციას ვეღარ ვაჩერებთ. თუ ვერ მოხერხდა იცოდე რომ ეს შენი ბრალი არ არის. ესაუბრე სხვებს შენს გამოცდილებაზე — ეს შეიძლება დაგეხმაროს.

რადგან დეპორტაციის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ძალიან რთულია, უნდა არსებობდეს რამდენიმე მხარდამჭერი და კარგი კონტაქტები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საკონსულტაციო ცენტრებთან და მედიასთან. ამიტომ: მოახდინეთ ორგანიზება და დაამყარეთ ქსელები!

# რას ნიშნავს სადეპორტო ციხე?

თუ უცხოელთა სამმართველოს უნდა, რომ დაგადეპორტოს, მათ შეუძლიათ შენი დაპატიმრება.

## სადეპორტო ციხე

ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი ფლაერში **სადეპორტო ციხე**

**bbonlink.de/flyer-ka-detention**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

დეპორტაციის მიზნით შეიძლება ადამიანი რამდენიმე დღით ან მაქსიმუმ 6 თვემდე დააკავონ. საქსონიის სადეპორტო ციხე დრეზდენში მდებარეობს. თუნდაც არ გქონდეს ჩადენილი დანაშაული, შესაძლებელია პატიმრობაში ჩაგსვან. პოლიციას შეუძლია შენს სახლში ან უწყებაში შეხვედრის დროს დაგაკავოს. ამის შემდეგ შენ სასამართლოში მიგიყვანენ მოსმენისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ მოსმენის დროს იურისტი ან სანდო პირი გვერდით გყავდეს. ეს მოსმენის დასაწყისში უნდა მოითხოვო! ასევე შეგიძლია კონკრეტული იურისტის მოთხოვნა.

დაკავების დროს უფლება გაქვს კონსულტაცია გაიარო იურისტებთან და დრეზდენის სადეპორტო ციხის საკონტაქტო ჯგუფთან . შეგიძლია ესაუბრო სოციალური სამსახურის თანამშრომელს და ორივე კონსულტაცია მოითხოვო.

დამატებითი ინფორმაცია და კონტაქტები:

***Abschiebehaftkontaktgruppe Dresden***
*Kontaktgruppe Asyl und Abschiebehaft e.V.*
*Dresden*
***kontakt@abschiebehaftkontaktgruppe.de***
***www.abschiebehaftkontaktgruppe.de***
*Instagram:* ***@abschiebehaftkg_dresden***
*ადამიანებისთვის კონსულტაციის გაწევა, რომლებიც იმყოფებიან დრეზდენის სადეპორტო ციხეში*

## რამდენად დიდია რისკი?

თუ შენ გაქვს უბრალო დულდუნგი, შეუძლიათ შენი დადეპორტება და ამ მიზნით შეუძლიათ შენი დაპატიმრება. მიუხედავად აქ მრავალწლიანი ცხოვრებისა ან გაქვს ცხოვრების მოთხოვნაზე განცხადება შეტანილი, უცხოელთა სამმართველოს შეუძლია დაგადეპორტოს და ამისთვის პატიმრობაში ჩაგსვას.

საფრთხე დიდია,

- თუ ადრე დეპორტაცია ვერ მოხერხდა, იმიტომ რომ სახლში არ იყავი ან უცხოელთა სამმართველოში შეხვედრებზე არ მიხვედი.
- თუ შენ რამდენიმე ევროკავშირის ქვეყანაში გაქვს თავშესაფარი მოთხოვნილი.
- თუ შენ წინააღმდეგობა გაუწიე დეპორტაციას.
- თუ უცხოელთა სამმართველომ იცის, რომ შენ ცრუ პასპორტი მიიტანე ან უთხარი გამოგონილი სახელი.
- თუ შენ საცხოვრებელი მისამართი შეიცვალე და რამდენიმე თვე არ დაუკავშირდი უცხოელთა სამმართველოს ან სოციალურ სამსახურს.
- თუ შენ საზღვარზე ფედერალურმა პოლიცამ დაგაკავა, რადგან არ გაქვს ვიზა და გაქვს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა ან არანაირი მიზეზი არ გაქვს თავშესაფრის მოთხოვნისთვის.
- თუ მამაკაცი ხარ. რადგან ამჟამად (2024) საქსონიაში ქალებს და ბავშვებს დეპორტაციის მიზნით არ აპატიმრებენ.
- თუ დანაშაულები ჩაგიდენია – მაშინაც კი, თუ ეს დეპორტაციის მიზნით დაკავების წინაპირობა არ არის.

## რა შეგიძლია გააკეთო ?

თუ გეშინია დეპორტაციის და დეპორტაციის მიზნით დაკავების, მიმართე კონსულტაციას:

ჩვენს **კონტაქტების მიმოხილვაში bbonlink.de/page-ka-contacts** შეგიძლიათ იპოვოთ კარგი საკონსულტაციო ცენტრები საქსონიაში.

მუდმივად თან იქონიე შენი ადვოკატის და სანდო პირის სახელი და საკონტაქტო მონაცემები! აქ ნახავ ფორმულარს (რაც შეგიძლია შეავსო ) “სანდო პირისთვის” დეპორტაციის მიზნით დაკავების დროს:

**bbonlink.de/page-ka-forms**

თუ შენ დაგაკავებენ, მოითხოვე, რომ მათ მიაწოდონ ინფორმაცია და რომ მოვიდნენ სასამართლოში მოსმენაზე.

უცხოელთა სამმართველოს სურს სასამართლო დაარწმუნოს, რომ შენ დეპორტაციამდე გაქცევას აპირებ. ის სასამართლოს წარუდგენს „მტკიცებულებებს“, თითქოს შენ ხელისუფლებისგან იმალები. ამას უწყება „დამალვას“ („Untertauchen“) უწოდებს. ჩვენი **დუბლინის ბროშურაში bbonlink.de/flyer-ka-dublin** ნახავ დამატებით ინფორმაციას „დამალვა“ შესახებ.

## სასამართლო პროცესი

დეპორტაციის მიზნით დაკავებამდე პოლიცია გადაგიყვანს სასამართლოში მოსმენისთვის. მოსმენა არ ეხება შენს თავშესაფრის მიზეზებს! მთავარია, სასამართლო დარწმუნდეს, რომ შენ არ აპირებ დეპორტაციას აარიდო თავი. დაარწმუნე სასამართლო, რომ მზად ხარ რეგულარულად მიხვიდე რეგისტრაციაზე და არ აპირებ დეპორტაციიდან გაქცევა. თუ შენ პატიმრობაში არ დაგტოვებენ სასწრაფოდ მიმართე საკონსულტაციო ცენტრებს ან იურისტებს.

## რა ხდება სადეპორტო დაწესებულებაში?

შენ ექიმი გაგსინჯავს, რათა შეამოწმოს, ხარ თუ არა საკმარისად ჯანმრთელი დაკავებისა და დეპორტაციისთვის. თუ ავად ხარ და წამლები გჭირდება, ეს აუცილებლად უთხარი ექიმს. შენ შეგიძლია შეხვდე ადვოკატს, სადეპორტო ციხის საკონტაქტო ჯგუფს, კონსულტანტებს თავშესაფრის (მეორე) პროცედურისთვის, ფსიქოლოგს ან სულიერ მრჩეველს. ამ ყველაფერში სოციალური სამსახური უნდა დაგეხმაროს. შენ უნდა ჩააბარო ყველა შენი ნივთი და ასევე ნაღდი ფული. თუ 200 ევროზე მეტი თანხა გაქვს, ამ ფულს ისინი დეპორტაციის შემდეგაც შეინახავენ. ასევე უნდა ჩააბარო შენი მობილური. თუმცა შეგიძლია მოითხოვო, რომ მოკლე დროით დაგიბრუნონ, რათა ჩაიწერო კონტაქტები და ტელეფონის ნომრები ან ელფოსტისა და ფეისბუკის პაროლები და ასევე გადააგზავნო ფოტოები ან დოკუმენტები შენი ადვოკატისთვის ან მხარდამჭერებისთვის. დღეში ერთი საათის განმავლობაში შეგიძლია გამოიყენო (ნელი) ინტერნეტი. ასევე შეგიძლია ითხოვო ტელეფონი (არა სმარტფონი) და დარეკო. რაც შეიძლება სწრაფად დაუკავშირდი მხარდამჭერებს, შენს ადვოკატს ან სადეპორტო ციხის საკონტაქტო ჯგუფს, რათა დაგეხმარონ.

# დანართი

ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია სასარგებლო იქნება და დაგეხმარება გადაადგილების თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

ჩვენ ვიღებთ კრიტიკას, ახალ იდეებს და თანამშრომლობას/დახმარებას.

ამისთვის მოგვწერეთ:

**info@bringbackourneighbours.de**

## საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და მხარდაჭერის მოპოვება

თქვენ ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი გვერდზე **საზოგადოების ინფორმირება და მხარდაჭერის მოპოვება**

**bbonlink.de/page-ka-publicity**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

„სასწრაფო დახმარების ნაკრები დეპორტაციების წინააღმდეგ“-ის დანართში შევკრიბეთ რჩევები, რომლებიც ეხმარება მხარდამჭერებსა და პროფესიონალებს ყურადღების მიქცევასა და მხარდაჭერის მოპოვებაში მიმდინარე ან უკვე განხორციელებული დეპორტაციის წინააღმდეგ.

ჩვენ განვახორციელეთ 2021 წლის კამპანია „Bring Back Our Neighbours“ პირნაში, ასევე რამდენიმე სხვა წარმატებული და ხმაურიანი პროტესტი დეპორტაციების წინააღმდეგ საქსონიაში. დამატებითი ინფორმაცია ან რჩევები ყოველთვის შეგვიძლია მივიღოთ ელფოსტით:

- არსებობს მხარდამჭერი სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ დეპორტაციების შესახებ უფრო ფართო კრიტიკული საზოგადოებრივი ცნობადობის შექმნას. გადამწყვეტია დაზარალებული პირების დამოკიდებულება და ჩართულობა, და ასევე მათი ახლო მხარდამჭერი წრის აქტიურობა.
- ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულმა პირებმა თვითონ განსაზღვრონ, თუ რამდენად და რა ფორმით (მაგალითად, ანონიმურად, პირადი ფოტოებით და ა.შ.) შეიძლება საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია მათი დეპორტაციისა და ცხოვრების შესახებ. აუცილებელია მათი აქტიური ჩართულობა – ინფორმაციის, ფოტოების და სხვა მასალის გამოქვეყნებაზე, თვითონ ან ნდობით აღჭურვილი პირი უნდა განიხილავდეს და იღებდეს გადაწყვეტილებას.
- მხარდამჭერი წრე (ოჯახი, მეგობრები, მეზობლები, კოლეგები) დეპორტაციის დღეს და მომდევნო რამდენიმე დღისა თუ კვირის განმავლობაში საჭიროებს აქტიურ ჩართულობას, დროს და მოქნილობას.
- დეპორტაციის შეჩერება შესაძლებელია საცხოვრებლის, სახლის ან ტრანსპორტის წინ სწრაფად ორგანიზებული ბლოკადით. აუცილებელია იცოდეთ, რომ პოლიცია ასეთ სიტუაციებში ხშირად მკაცრია და ძალას იყენებს, ასევე შესაძლებელია ბლოკადაში მონაწილე პირების წინააღმდეგ სამართლებრივი ზომები იქნას მიღებული.
- მიმდინარე დეპორტაციის დროს მხოლოდ რამდენიმე საათიანი ფანჯარა არსებობს (დაზარალებული პირების აყვანიდან თვითმფრინავში ჩასხდომამდე), რომლის განმავლობაში შეიძლება დეპორტაციისთვის ხელის შეშლა. ამისთვის შეიძლება მიმართონ სასამართლოს სწრაფი რეაგირების სარჩელს (Eilantrag), მძიმე შემთხვევების კომისიას (Härtefallkommission) ან სახელმწიფო დირექტივას (Landesdirektion).
- შემდეგი რჩევები ძირითადად მიმართულია საზოგადოებრივი სამუშაო გეგმებზე, როდესაც ადამიანი იმყოფება სადეპორტო ციხეში, დეპორტაცია დაჩქარებული წესით იგეგმება ან დეპორტაცია უკვე განხორციელდა.
- რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს საზოგადოების ჩართულობა.
- დეპორტაციის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვისა და საზოგადოების ინფორმირებისთვის არსებობს მრავალი გზები: დემონსტრაციები, გრაფიტი, სოლიდარობის ღონისძიებები, ფლაერების დარიგება, ელფოსტა, წერილები, პეტიციები, შემოწირულობები, გაზეთის სტატიები, რადიოინტერვიუები და სხვა.
- პროტესტისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ეს ფორმები უნდა გამოიყენონ სამართლებრივი ნაბიჯების (სწრაფი სარჩელი, დამძიმებელი შემთხვევების კომისია და ა.შ.) პარალელურად და არ უნდა ჩაანაცვლოთ ისინი.

### პროტესტისა და საზოგადოების ჩართულობის ფორმები

- დემონსტრაციები და შეკრებები: შეგიძლიათ სპონტანურად ჩაატაროთ ან ქალაქს შეატყობინოთ
- პეტიციების დაწყება, მაგალითად, ონლაინ პეტიციის სახით ან ქალაქის / პარლამენტის მისამართით.
- ღია წერილის დაწერა და ხელმოწერების შეგროვება, მაგალითად, მერის ან ოლქის გამგებლის მისამართით.
- გრაფიტის, ფლაერების, სტიკერების და/ან პლაკატების გამოყენებით საზოგადოებრივი სივრცის გამოყენება
- წერილების / ელფოსტების გაგზავნა პასუხისმგებელი პირების და მხარდამჭერებისთვის
- მედიასთან მუშაობა: ჟურნალისტებთან კონტაქტი, მთავარი ინფორმაციების ჩამოყალიბება სტატიებში >> დაუკავშირდით ასევე საქსონიის დევნილთა საბჭოს: **pr@sfrev.de**

- ადვოკატთა ხარჯებისა და დეპორტაციის დანიშნულ ქვეყანაში საარსებო ხარჯებისთვის შემოწირულობების შეგროვება
- ინფორმაციის მოგროვება და საზოგადოების ინფორმირება ვებგვერდებისა და/ან სოციალური მედიის არხებისა და ჰეშთეგების მეშვეობით
- მესენჯერის სერვისების (Telegram, Signal, WhatsApp და სხვ.) გამოყენება, რათა ყველა ქსელი ინფორმირებული იყოს დეპორტაციისა და მის წინააღმდეგ პროტესტის შესახებ

## დეპორტაციის წინააღმდეგ პროტესტისა და საზოგადოებრივი მუშაობის შინაარსი

- საზოგადოების ჩარევა და ზომები უნდა იქნას შეთანხმებული დაზარალებულ პირებთან, რადგან საქმე ეხება პირად ინფორმაციას!
- რა იყო განსაკუთრებით სკანდალური ამ დეპორტაციის პროცესში?
- დეპორტაცია საცხოვრებელიდან, მაგალითად, წლების განმავლობაში ცხოვრების, სკოლისა და სამსახურის, მეგობრების, სამოქალაქო ან მოხალისეობრივი საქმიანობის მიუხედავად, ან დეპორტაცია ცხოვრების უფლების მიღებამდე.
- დეპორტაციის განსაკუთრებული სისასტიკეა ბორკილებით, ოჯახის დაშორება, ბავშვის კეთილდღეობისთვის საფრთხის შექმნა, ფსიქიკური დაავადებების მიუხედავად და ა.შ.
- სიცოცხლისთვის საშიში დეპორტაცია, მაგალითად, განსაკუთრებული საფრთხე დანიშნულების ქვეყანაში, დაავადება, ორსულობა და ა.შ.
- დაზარალებული პირის პირადი პორტრეტის შექმნა: გაქცევის მიზეზი, ცხოვრება გერმანიაში, ყოველდღიურობა, ჰობები, მონაწილეობა ასოციაციებში და ა.შ., ურთიერთობები მხარდამჭერებთან, მომავლის ოცნებები
- ილუსტრირება ფოტოებით, აუდიოებით, ვიდეოებით, ციტატებით, წერილებით, დაზარალებული პირების ნახატებით
- ინფორმაცია დეპორტაციის შესახებ: აუდიო/ვიდეო მასალა, მოწმეების ჩვენებები

## დაუკავშირდი პასუხისმგებელ პირებს

პოლიტიკოსებმა და პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ დეპორტაციების რეალური შედეგები. ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ხმამაღლა მოითხოვენ დეპორტაციების გაზრდას, ხოლო მათი ნამდვილი მნიშვნელობა და კრიტიკული საზოგადოებრივი დამოკიდებულება ხშირად უგულებელყოფილია. მრავალი წერილი, ელფოსტა ან ზარი სამინისტროსა და უწყებებისადმი, განსაკუთრებით ემოციური ან მოთხოვნებით სავსემ, შეიძლება რეალურად მოახდინოს გავლენა. ამ გზით პოლიტიკოსები და თანამშრომლები იგებენ, რომ არსებობს კრიტიკული საზოგა-დოება და დაზარალებულებს აქვთ ძლიერი მხარდაჭერა. ზოგჯერ ეს კონტაქტებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დეპორტაციის შესაჩერებლად.

პრემიერ-მინისტრი საქსონიის სახელმწიფო კანცელარია Ministerpräsident Michael Kretschmer Sächsische Staaskanzlei Archivstraße 1, 01097 Dresden **buergerbuero@sk.sachsen.de** ; Tel: 0351 564-10080

საქსონიის შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია დეპორტაციებზე და ცხოვრების ნებართვის საკითხებზე:

Sächsischer Innenminister Armin Schuster Wilhelm-Buck-Straße 2 01097 Dresden **poststelle@smi.sachsen.de**

სამსახური 24 უცხოელთა საკითხები და მოქალაქეობა (Referat 24 Ausländerangelegenheiten und Staatsangehörigkeit) ხელმძღვანელი: **Axel.Meyer@smi.sachsen.de** ; Tel: 0351 564 32400

შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი უწყება: სახელმწიფო დირექტივა საქსონია მედია და საზოგადოებრივი ურთიერთობები, მოქალაქეთა წარმომადგენელი: დოქტორი ჰოლმ ფელბერი (Oberste Behörde des Innenministeriums: Landesdirektion Sachsen (LDS) Presse- und Öffentlichkeitsarbeit, Bürgerbeauftragter Dr. Holm Felber ) Presse- und Öffentlichkeitsarbeit, Bürgerbeauftragter Dr. Holm Felber **post@lds.sachsen.de**

LDS – ცენტრალური უცხოელთა სამსახური დეპარტამენტის ხელმძღვანელი (LDS – Zentrale Ausländerbehörde Abteilungsleiter): **jens.loeschner@lds.sachsen.de** ; Tel: 0371 4599 – 2600 Referat 63: Aufenthaltsbeendende Maßnahmen, Tel: 0371 45992910

ქალაქების უმაღლესი ხელმძღვანელები მერია ან ოლქის გამგებლები, კომუნალური უცხოელთა სამსახურის ხელმძღვანელები: კონტაქტების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქალაქის ან ოლქის ოფიციალურ ვებსაიტზე.

# ინფორმაცია სოციალური მუშაკებისთვის

თქვენ ასევე შეგიძლიათ იპოვოთ ცალკე ეს მონაკვეთი გვერდზე **მინიშნებები სოციალური მუშაკებისთვის**

**bbonlink.de/page-ka-professionals**

ქართული | Georgisch – ბოლო განახლება: 8.7.2025

სოციალური მუშაკები მუშაობენ მიგრანტების საკონსულტაციო სამსახურში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში და სხვა ადგილებში, სადაც ხვდებიან დევნილებს, რომლებსაც დეპორტაცია ემუქრებათ. სოციალურს მუშაკებს გააჩნიათ განსაკუთრებული შესაძლებლობები, რათა დაეხმარონ თავიანთ კლიენტებს. ჩვენი სასწრაფო დახმარების ნაკრები დეპორტაციის წინააღმდეგ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც ეხმარება შეფასებაში, თუ რამდენად არსებობს დეპორტაციის საფრთხე, და ასევე შეიცავს ბევრ სასარგებლო კონტაქტებს საკონსულტაციო და სადამკვირვებლო ცენტრებთან, სახელმწიფო უწყებებთან და სასამართლოებთან. სოციალური მუშაკებისთვის არსებობს დამატებითი პროფესიული ეთიკური ასპექტები და პრაქტიკული სამოქმედო შესაძლებლობები მიმდინარე დეპორტაციის პროცესში, ასევე დამატებითი ლიტერატურა.

## მთავარი საკითხების მიმოხილვა

- პოლიციის მიმართ თავდაჯერებული და მკაფიო მიდგომა ეხმარება დაზარალებულებს დაიცვან უფლებები შეინარჩუნონ სხვა თანამაცხოვრებელთა უსაფრთხოება.
- სთხოვეთ პოლიციას, სანამ დაწესებულებაში შემოვლენ. წარადგინონ ჩხრეკის მოწმობა (Durchsuchungsbeschluss).
- არ მიაწოდოთ პოლიციას ინფორმაცია. თუ პოლიცია კითხვებს დაგისვამთ, გამოიყენეთ დუმილის უფლება და მიუთითეთ რომ მიმართონ დაწესებულების მფლობელს.
- მუდმივად იყავი პოლიციელებთან სანამ ისინი დაწესებულებაში იმყოფებიან. არ დატოვო დეპორტაციის საფრთხის წინაშე მყოფი პირი პოლიციასთან მარტო. აღმოუჩინე ემოციური მხარდაჭერა.
- ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდე დაზარალებულის ადვოკატს. ასევე დაუკავშირდი საქსონიის დევნილთა საბჭოს (Sächsischen Flüchtlingsrat) რათა გაიგო, როგორ შეიძლება დახმარების სწრაფად გაწევა.
- გაირკვე, მართლა არსებობს თუ არა ქვეყნის დატოვების დადგენილება. თუ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, მიუთითე ამაზე (საქმის ნომერი!). პოლიცია ვალდებულია გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ შეიძლება შეცდომა მოხდა. ასეთ შემთხვევაში შეგიძლია დაუკავშირდე ფედერალურ წარმომადგენლობას (Landesdirektion) , რომელიც დეპორტაციებზე არის პასუხისმგებელი.
- თუ ადვოკატი მიუწვდომელია, შეგიძლია დაზარალებულის სახელით, წერილობითი მინდობილობის საფუძ-ველზე, მიმართო შესაბამის ადმინისტრაციულ სასამართლოს დეპორტაციის დროებითი შეჩერების სარჩელით.
- გაირკვე პოლიციელებთან დეპორტაციის გეგმა (გამგზავრების ადგილი, დანიშნულების ქალაქი, ჩასვლის დრო, პოლიციის მისამართი, სადეპორტო ციხე და ა.შ.). საჭიროების შემთხვევაში შეატყობინე აეროპორტის დეპორ-ტაციის დამკვირვებლებს, რათა შეძლონ დაზარალებულებისთვის მხარდაჭერის გაწევა, ან აცნობონ ფედერალურ პოლიციას განსაკუთრებული საჭიროებების და მიმდინარე სარჩელების შესახებ.
- დაეხმარე დაზარალებულებს ბარგის ჩალაგებაში და დარწმუნდი, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მედიკამენტი თან აქვს.
- გაირკვე დაზარალებულთან: ვინ უნდა იყოს ინფორმირებული დეპორტაციის შესახებ? რა უნდა გააკეთო დარჩენილ პირად ნივთებთან დაკავშირებით? უნდა გაუგზავნო ნივთები მოგვიანებით?
- მიუთითე პოლიციას, რომ დეპორტაციის დღეს ფინანსური შესაძლებლობების არმქონე პირებს უნდა მიეცეთ თანხა (Handgeld).
- მიაწოდე ინფორმაცია დაზარალებულებს იმ ქალაქში არსებული საკონსულტაციო და მხარდაჭერის ცენტრების შესახებ სადაც ჩაფრინება.
- შექმენი მეხსიერების ჩანაწერი და აღნუსხე ეს აქ SFR e.V.-ის დეპორტაციის მონიტორინგი:

***Abschiebemonitoring des Sächsischen Flüchtlingsrates***
***deportationwatch@sfrev.de***
***www.saechsischer-fluechtlingsrat.de/abschiebemonitoring/***

## სამართლებრივი საფუძვლები

- მუხლი 13 GG iVm § 58 AufenthG ბინების ჩხრეკის შესახებ

- § 95 AufenthG – სასჯელის ნორმები
- § 97a AufenthG – საიდუმლოების დაცვის ვალდებულება
